პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 17 თებერვალი, 1942 წ. № 40 (6356). ფასი 15 კაპ.

## სამშობლოს დაცვის და მტრის განადგურების ინტერესებისათვის

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ომიანობის დროის პერიოდში წარმოებასა და მშენებლობაში სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის შესახებ“.

ამ კანონს უდიდესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს; იგი მიმართულია ჩვენი დიადი სამშობლოს სამხედრო ძლიერე-...

...ავაზაკური თავდასხმის მოსაგერიებლად. სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ათიათასობით და ასიათასობით საბჭოთა პატრიოტები გამოცხადდნენ ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინიგზებზე, ელექტროსადგურებში, ქვანახშირის შახტებში იმისათვის, რომ შეცვალონ ფრონტზე წასული მამები, ქმრები, ძმები, მეგობრები. მუშათა კლასის ახალი შევსება დიდი...

...ხებ გამოცემული ახალი კანონი თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს ავალდებულებს მოიხადოს თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. ვინც ფრონტზე არ არის, ვინც ზურგში იმყოფება, იგი ფრონტის ინტერესებით უნდა ცხოვრობდეს და თავის ძალ-ღონეს, ცოდნას, ნიჭსა და ტალანტს მტერზე გამარჯვების წმინდა საქმეს უნდა ახმარებდეს. მობილიზაცია საშუალებას მოგვცემს მივცეთ ქარხნებს, ფაბრიკებს, მშენებლობებს მუშახელის ახალი შევსება, რომელსაც შეუძლია წინ წასწიოს სამრეწველო წარმოება იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს და კიდევ უფრო მეტი წარმატებით სწარმოებდეს წითელი არმიის მომარაგება ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროება ჰიტლერის არმიის გასანადგურებლად და მოსასპობად.

ომმა მშვიდობიან შრომას ჩამოაშორა მრავალი საბჭოთა ადამიანი. ომმა აიძულა ხალხის საუკეთესო შვილები იარაღისათვის მოეკიდნათ ხელი გერმანიის ფაშისტური ურდოების...

...მობილიზაციის წესს, ვადებსა და რაოდენობას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო განსაზღვრავს. დიდი მუშაობის გაწევა მოუხდებათ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. ისინი როგორც რიგი და წესია ისე უნდა მოემზადონ მობილიზაციისათვის, რათა ზუსტად და ორგანიზებულად ჩაატარონ იგი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნაკარნახევია სტალინური მზრუნველობით, საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველობით ჩვენი სამშობლოს თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის. წარმოებასა და მშენებლობაში სამუშაოდ ომიანობის დროის პერიოდში ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაცია კიდევ უფრო განამტკიცებს წითელი არმიის ზურგს და მოგვიახლოვებს საზიზღარ გერმანელ ოკუპანტთა სრული განადგურებისა და მოსპობის დღეს.

„პრავდის“ მოწინავე, 15/II.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ ამხ. მ. ა. გურიანოვისა, ზ. ა. კოსმოდემიანსკაიასა და ი. ნ. კუზინისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში.**

მამაცობისა და გმირობისათვის, რაც გამოჩენილ იქნა ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში, მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“:

1. მიხეილ ალექსის-ძე **გურიანოვს,**
2. ზოია ანატოლის-ასულ **კოსმოდემიანსკაიას,**
3. ილია ნიკოლოზის-ძე **კუზინს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი.**
მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 16 თებერვალი.

### იმ პარტიზანების დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გულადობისა და მამაცობისათვის, რაც გამოჩენილ იქნა ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში დაჯილდოებული არიან:

**ლენინის ორდენით:** ა. ფ. ბოგოლიუბოვი, ა. მ. დრეიმანი, გ. ნ. კულაკოვი, დ. ნ. მედვედევი, ვ. პ. მილარშჩიკოვი, ი. ნ. ნაზაროვი და სხვები — სულ 11 კაცი;

**წითელი დროშის ორდენით** — 55 კაცი;
**წითელი ვარსკვლავის ორდენით** — 100 კაცი;
**„საპატიო ნიშნის“ ორდენით** — 28 კაცი;
**მედლით „მამაცობისათვის“** — 46 კაცი;
**მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“** — 57 კაცი. (საკდესი).

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 16 თებერვლის დილის ცნობა

15 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ჩვენმა ნაწილმა, რომელსაც ამხ. პავლიშჩევი მეთაურობს (დასავლეთის ფრონტი), გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლა რამდენიმე დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდო 16 ...

...მედი პარტიზანების რაზმი, რომელსაც ამხ. ი. ხელმძღვანელობს, თავს დაესხა გერმანელების მიერ ოკუპირებულ სოფელ კ-ს. ჰიტლერელები, რომელნიც თავდასხმას არ მოელოდნენ, პარტიზანთა ცეცხლში მოხვდნენ და ზარალი მოუვიდათ. მოკლულია სულ მცირე 40 გერმანელი ფაშისტი დამპყრობი.

* * *

...მა მებრძოლებმა მოსპეს მტრის 6 მიწური საცეცხლე წერტი, 21 ბლინდაჟი, არტილერიისა და ნაღმსატყორცნი ბატარიები, 6 ტყვიამფრქვევი, 20 ავტომანქანა, საწვავისა და საომარი მასალის საწყობები. ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

* * *

11 წითელარმიელმა ლეიტენანტ გოლოვანოვის მეთაურობით წარმატებით მოიგერია მტრის ასეულის კონტრიერიში. ამხ. გოლოვანოვმა 7 ჰიტლერელი მოჰკლა. გერმანელებმა თოვლში მიატოვეს 28 მოკლული და უკან დაიხიეს.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქ-...

...წურში დაიმალა. გერმანელებმა აღმოაჩინეს და იმდენი სცემეს, რომ გონება დაკარგა, შემდეგ კი მიწურში გრანატი შეაგდეს. მონახოვა და მისი ბავშვები მიწაში მოჰყვნენ.

* * *

ტომსკის გზის ტოპკის დეპოს მემანქანეებმა ამხ. გრომიშევმა, ევლახოვმა, ცაროვმა, ატამანოვმა, ლიხოდეცმა და ხოდაკოვმა, სუსხიანი ყინვის მიუხედავად, მიმდინარე წელს 40 მძიმეწონიანი მატარებელი წაიყვანეს. მათ დაზოგეს 200 ტონაზე მეტი სათბობი, ხოლო ორთქლმავლების რემონტზე 10.000 მანეთამდე.

## 16 თებერვლის საღამოს ცნობა

16 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ, დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და დიდი ზარალი მიაყენეს მტერს ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ.

15 თებერვლის განმავლობაში საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია გერმანელთა 11 თვითმფრინავი. ჩვენ...

...ესროლა მტერს. ამხ. ... ველივე სროლით დააზიანა ერთი ტანკი, ხოლო შემდეგ რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი დახოცა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა და უკუგდებულ იქნა.

* * *

გერმანიის 52-ე ქვეითი დივიზიის 163-ე პოლკის პირველი ბატალიონის ...

...ჩვენს ნაწილზე. ქვემეხის მამაცმა მეთ მიზნემ წითელარმიელმა პელევინმა თავისი ქვემეხი გაშლილ პოზიციაზე გამოაგორა და პირდაპირი დამიზნებით ...

...ლია გაფუჭებული ვაგონებითა და ორთქლმავლებით. ბევრი რკინიგზელი მუშა მობილიზებულია და ჯარისკაცად არის გაგზავნილი ფრონტზე.

## წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი.

დაჯილდოებულთა შორის არიან:

ლენინის ორდენით — სერჟანტი კონსტანტინე პავლეს-ძე **დალაქიშვილი.**

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოებული არიან: უფროსი სერჟანტი ვასილ ალექსანდრეს-ძე **გამრეწია,** ზემდეგი გრიგოლ ერასტის-ძე **ჯალაღონია,** სერჟანტი ვლადიმერ ალექსის-ძე **ქელეხსაშვილი.**

**ვ. ყარა-მურზა**

# გმირულად დავიცვათ სამშობლო, დაუნდობლად გავანადგუროთ მტერი

**გუშინ თბილისის საწარმოებში, დაწესებულებებსა და საცხოვრებელ უბნებში უდიდესი ინტერესით გაეცნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ომიანობის პერიოდში წარმოებაში და მშენებლობაზე სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის შესახებ.**

**მუშები, მოსამსახურეები დიასახლისები დიდი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახალ ბრძანებულებას, რომელიც მიმართულია ჩვენი დიადი სამშობლოს სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ.**

**ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ისინი სამხედრო მრეწველობაში თავდადებული მუშაობით ყოველმხრივ დაეხმარებიან სახელოვან წითელ არმიას გერმანელ ოკუპანტთა სრულ განადგურებაში. მათ აღნიშნეს, რომ შეუხვენებლივი მუშაობით ფრონტს მისცემენ მეტ იარაღს, საომარ მასალასა და საჭურველს.**

**საბჭოთა პატრიოტები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ძვირფასი სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის პირნათლად შესრულებით უპასუხებენ.**

### გავზარდოთ ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერება

**სტალინის** სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ომიანობის პერიოდში წარმოებაში და მშენებლობაზე სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის შესა-...

...ლას, კიდევ უფრო გაიზრდება და განმტკიცდება ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერება.

საქვაბე საამქროს ორდენოსანმა ბრიგადირმა ამხ. მ. გეწაძემ განაცხადა: ჩვენი მოვალეობაა ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი, დავეხმაროთ და შევასწავლოთ წარმოებაში მუშაობა იმ ახალ...

...სატელეგრაფო ქარხნის აგიტატორებმა მუშებს გააცნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ომიანობის პერიოდში წარმოებაში და მშენებლობაზე სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის შესახებ.

ბრძანებულებამ ქარხნის მთელ კოლექტივში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

მთავარი მექანიკური საამქროს მოწინავე ზეინკალმა პეტრე სიმონოვმა ყველა ამხანაგის აზრი გამოხატა, როცა განაცხადა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო გააძლიერებს წითელ არმიას და მის ზურგს. მშრომელთა ახალი რეზერვები, რომ-...

...ლებიც ... ჩაებმებიან, ჩვენს გმირულ წითელ არმიას მისცემენ დამატებით საჭურველს, ტანკებს, თვითმფრინავებს, ქვემეხებს, რომლებიც საჭიროა მუხანათი მტრის სრული განადგურებისათვის. ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება უნარიანად დავეხმაროთ წარმოებაში ჩაბმულ ახალ ადამიანებს პროფესიების ათვისებაში, გამოვზარდოთ მათგან სტახანოველი შრომის ოსტატები.

საზეინკლო საამქროს მუშამ ამხ. ნიკოლოზ სტაროვმა განაცხადა, რომ მისმა ცოლმა უკვე გამოსთქვა სურვილი ჩაებას საწარმოო საქმიანობაში და მოუწოდა ამხანაგებს ყოველმხრივ დაეხმარონ თავიანთი ოჯახის წევრებს ამ საქმეში.

### პირველი დაძახებისთანავე მზად არიან

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ატენის ქ. № 19 სახლის მცხოვრებ დიასახლისებთან მორიგი საუბარი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომელმა აგიტატორმა ამხ. ლ. ჩინჩალაძემ მიუძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ომიანობის პერიოდში წარმოებაში და მშენებლობაზე სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის შესახებ.

დიასახლისები ყურადღებით გაეცნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას, რომელიც მიმართულია ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ.

ბრძანებულების გაცნობის შემდეგ გამართულ საუბარში დიასახლისებმა მადლენა მარკოზიამ, ანა ზეიადაძემ, ნინო კალანდაძემ და სხვებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან თავდადებით იმუშაონ წარმოებასა და მშენებლობაზე და ყველაფერს გააკეთებენ საზიზღარი გერმანელი ოკუპანტების სრული განადგურებისათვის.

### დავაჩქაროთ პირსისხლიანი მტრის განადგურება

ჩვენი საბჭოთა მთავრობის ახალი კანონი, რომელიც ნაკარნახევია სტალინური ზრუნ-...

...თელ არმიას, რომელიც გერმანელ ოკუპანტებს ანადგურებს.

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

### ადგილობრივი საბჭოებისა და საწარმოების იმ საბინაო ფართობის განთავისუფლების შესახებ, რომელიც წინათ აღმოსავლეთში ევაკუირებულ მუშებსა და მოსამსახურეებს ეკავათ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ არასწორად სცნო მთელ რიგ ქალაქებში წარმოებული მიმაგრება აღმოსავლეთის რაიონებში ევაკუირებულ საწარმოებთან ერთად გადასულ მუშებსა და მოსამსახურეებზე იმ ბინებისა, რომლებიც მათ ევაკუაციამდე ეკავათ ადგილობრივი საბჭოებისა და საწარმოების სახლებში, რადგან ამ მუშებმა ...

...სურვილის მიხედვით, მის მიერ განთავისუფლებულ ბინაში დარჩენილი პირადი ქონება შეიძლება გადაეცეს მის ნათესავებს ან სხვა პირებს, რომლებიც ცხოვრობენ იმ ქალაქში (მუშათა დაბაში), საიდანაც ესა თუ ის საწარმო ევაკუირებულია, ან შეიძლება მისი დავალებით გაყიდულ იქნას საკომისიო მაღაზიების საშუალებით, ...

...ბის აღმასკომების განკარგულებაში და პირველ რიგში ეძლევა თავდაცვითი საწარმოების იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ამა თუ იმ ქალაქში (მუშათა დაბაში) დარჩნენ.

2. დაწესდეს, რომ ევაკუირებული საწარმოს მუშისა და მოსამსახურის ...

...ბინაო მშენებლობის დასაკრედიტებლად.

5. ეს დადგენილება არ ვრცელდება იმ საცხოვრებელ სახლებზე, რომლებიც ევაკუირებულ საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების პირად საკუთრებას შეადგენენ.

### ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ბ. ლ. ვანიკოვი** დანიშნა საომარი მასალების სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ საომარი მასალების სახალხო კომისრის პირველმოადგილედ დანიშნა ამხ. **მ. ვ. ხრუნიჩევი** და საომარი მასალების სახალხო კომისრის მეორე მოადგილედ — ამხ. **პ. ნ. გორემიკინი.**

# მეტი ქვანახშირი ქვეყანას!

## მეშახტე ქალები თავდადებულად მუშაობენ

**აკარმარა** („კომუნისტის“ კორ.). საბჭოთა საინფორმაციო ბიურო თავის 15 თებერვლის საღამოს ცნობაში იუწყებოდა ტყვარჩელის მეშახტე ქალთა თავდადებული შრომის შესახებ. ქალთა შრომა შახტში ფართოდ არის გამოყენებული. სამამულო ომის დღეებში მაღაროში სამუშაოდ ჩავიდა ბევრი ქალი, რომელნიც მთელ ენერგიას ახმარებენ გეგმების პირნათლად შესრულებას. 200-ზე მეტმა ქალმა შესცვალა ფრონტზე გაწვეული ქმარი, ძმა თუ ამხანაგი. მათ სწრაფად აითვისეს ...

...200 პროცენტით ასრულებს დავალებას. წელს მან დაიავალა ექვს თვეში შეასრულოს თავისი წლიური გეგმა. მეშვიდე უბნის ცნობილი სტახანოველი კომკავშირელი ზინაიდა მეეციკაია, რომელმაც ქალთა შორის პირველმა აითვისა ქვანახშირის ბურღვის საქმე, ცვლაში ერთნახევარ—ორ ნორმას იძლევა. ამ უბანში განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა. აქ მუშათა ნახევარს ქალები შეადგენენ. ამავე დროს უბანი ყოველდღე გადამეტებით ასრულებს ნორმებს. ...

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 15 თებერვლის დილის ცნობა

14 თებერვლის ღამის განმავლობაში სწარმოებდა ჩვენი ჯარების შეტევითი ბრძოლები გერმანიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ჩვენმა ნაწილმა ამხ. პარსეგოვის მეთაურობით ღამის ბრძოლაში მტრის წინააღმდეგობის გამაგრებული კვანძი გაანადგურა და ხელთ იგდო 17 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი საომარი მასალიანად, 50 ცხენი და სხვა დავლა. მტერმა მოკლულთა სახით 350 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოქმედი ჩვენი ნაწილების საბრძოლო ოპერაციების შედეგად უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში მოსპობილია მტრის 2 ტანკი, 88 ქვემეხი, 17 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი ბატარია; ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 27 ტყვიამფრქვევი, 26 ავტომატი და რადიოსადგური. მტერმა მოკლულთა სახით 1.800 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჩვენმა ნაწილმა ამხ. ზინოვიევის მეთაურობით (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი) სამი დასახლებული პუნქტიდან განდევნა გერმანელები. ბრძოლაში მოსპობილია 700-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ფრონტის სხვა უბანზე იმ ნაწილის მებრძოლებმა, რომელსაც ამხ. პოლიაკოვი მეთაურობს, მტრის კონტრიერიშები მოიგერიეს და ხელთ იგდეს 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 10 ნაღმსატყორცნი, 26 ტყვიამფრქვევი, 13 ავტომატი, 50 შაშხანა და 20.000 ვაზნა.

* * *

მამაცმა მზვერავებმა — სერჟანტმა აგაპიტოვმა და წითელარმიელმა ბერდნიკოვმა, რომლებიც მტრის ზურგში მიიწევდნენ, გერმანელთა შტაბის ავტომანქანა შეამჩნიეს. საბჭოთა მზვერავებმა გრანატებით მოჰკლეს შტაბის ორი ოფიცერი და შოფერი და ხელთ იგდეს ძვირფასი დოკუმენტები.

* * *

„სს — მკვდარი თავის“ დივიზიის პირველი პოლკის პირველი ასეულის ჯარისკაცმა ალბერტ შნიტკერმა, რომელიც ტყვედ დაგვნებდა, განაცხადა: „ჩვენს დივიზიას ძალიან დიდი ზარალი მოუვიდა. რუსების არტილერია განსაკუთრებით მარჯვედ ისვრის. ბევრი შემთხვევა იყო, რომ ყუმბარები პირდაპირ ბლინდაჟებსა და ხვრელებში ვარდებოდა. ნაწილებში დისციპლინა შეირყა. ჯარისკაცები ხშირად ოფიცრების ბრძანებას არ ასრულებენ. ძალიან იმატა დისციპლინარული სასჯელის დადების შემთხვევებმა. მაგრამ ეს საქმეს ვერა შველის. გუშაგები პოსტებიდან ბლინდაჟებში მიდიან და იძინებენ. ისინი ამბობენ: „დაე მოვიდნენ რუსები და ყველანი ტყვედ წაგვიყვანონო“. ამას წინათ სამხედრო-საველე სასამართლომ ბრძანების შეუსრულებლობისათვის 5 ჯარისკაცს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა“.

* * *

ბრძოლის ველზე იპოვნეს გერმანელი ჯარისკაცის დღიური. ამ ჯარისკაცის ვინაობის გამორკვევა შეუძლებელი გახდა. მოგვყავს დღიურის რამდენიმე ჩანაწერი:

**„ოთხშაბათი.** საღამოს 11 საათზე კვლავ განგაში ატყდა. რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ. გამოვვიქვართ მაღლობზე. აქ არის 156-ე ქვეითი პოლკის კაპიტანი. იგი, როგორც ჩანს, ჭკუაზე შეიშალა. ათეულის ერთ მეთაურს ნაბრძანები ჰქონდა დაჭრილისათვის ჭრილობა შეეხვია. საქმეში ჩაერია კაპიტანი. მან ისტერიულად დაიწყო ყვირილი: „თქვენ არ გინდათ წინ წახვიდეთო“, — იძრო რევოლვერი და ათეულის ამ მეთაურს ოთხჯერ ესროლა. შემდეგ კაპიტანმა კიდევ ორი ჯარისკაცი მოჰკლა.

**პარასკევი.** დღეს ცნობა მივიღეთ, რომ დაიწვა 3 ვაგონი, რომლებსაც ფოსტა მოჰქონდათ. ეს ჩვენთვის თავზარდამცემი ამბავია.

**ორშაბათი.** მიღებულია ბრძანება უკან დახევის შესახებ. მაგრამ ამის თქმა უფრო ადვილია, ვიდრე შესრულება, იმიტომ რომ რუსებმა ჩააჩუმეს ჩვენი ტყვიამფრქვევები და ისე გვიშენდნენ, რომ დედამიწა ზანზარებდა. მე ისე გამოვრბოდი, რომ ჩემს სიცოცხლეში ასე არასოდეს მირბენია...“

* * *

ლენინგრადის ოლქის სოფელ იურიევოს მცხოვრებლებმა, რომელიც ამჟამად განთავისუფლებულია გერმანელებისაგან, შეადგინეს აქტი ჰიტლერელ არამზადათა მხეცობის შესახებ. გერმანელებმა გლეხებს წაართვეს მთელი პირუტყვი, ფრინველი, პური, ბოსტნეული და პირადი ნივთები. ჯალათები აბუჩად იგდებდნენ კოლმეურნეებს, საჯაროდ ჯოხავდნენ ქალებსა და მოხუცებს. სოფლიდან უკან დახევისას ბანდიტებმა დასწვეს კოლმეურნეთა კუთვნილი 27 სახლი და ყველა საზოგადოებრივი შენობა: სასადილო, ფურნე, სამშობიარო სახლი, ბეღლები.

## 15 თებერვლის საღამოს ცნობა

15 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ. მტერს ბრძოლაში რეზერვები გამოჰყავდა. ფრონტის მთელ რიგ უბნებზე გერმანიის ფაშისტური ძალები კონტრიერიშზე გადმოდიოდნენ, რაც გერმანელთათვის დიდი ზარალით იქნა მოგერიებული.

14 თებერვლის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია გერმანიის 7 თვითმფრინავი. ჩვენ 5 თვითმფრინავი დავკარგეთ.

15 თებერვლის განმავლობაში მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

* * *

14 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს და დააზიანეს მტრის 125 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, შტაბის 3 ავტობუსი, საომარი მასალით დატვირთული 60-მდე საზიდარი, 11 ქვემეხი, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი, გაანადგურეს რკინიგზის 20 ვაგონი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს 3 ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

გასული 2 კვირის განმავლობაში — 1-დან 14 თებერვლამდე გერმანიის ავიაციამ 269 თვითმფრინავი დაჰკარგა. აქედან საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია 137 თვითმფრინავი, საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო 34 თვითმფრინავი, მტრის აეროდრომზე მოსპობილია 98 თვითმფრინავი. ამ პერიოდში ჩვენ 83 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

მტერთან შეუპოვარი ბრძოლების უკანასკნელ დღეებში ჩვენმა ნაწილმა, რომელსაც ამხ. ნაუმოვი მეთაურობს (დასავლეთის ფრონტი), ხელთ იგდო გერმანელთა 6 ქვემეხი, 75 ტყვიამფრქვევი, 28 ავტომატი, 22 მოტოციკლი, 122 შაშხანა, 513.500 შაშხანის ვაზნა, 2 რადიოსადგური და ბევრი სხვა დავლა.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედი ჩვენი გვარდიის ნაწილის მებრძოლებმა გაბედული იერიშით განდევნეს გერმანელები სოფელ კ-დან, რომელიც მტერმა ძლიერ გამაგრებული რაიონის დასაყრდენ პუნქტად გადააქცია. ამ ბრძოლაში გერმანელებმა მოკლულთა სახით 270 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს, რის შემდეგ უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს თვითმფრინავი, 212 შაშხანა, 5 ტყვიამფრქვევი, 31 საზიდარი, დიდძალი ყუმბარები, ნაღმები და ვაზნები.

* * *

ჩვენმა ნაწილმა ამხ. პოზდნიაკის მეთაურობით (კალინინის ფრონტი) მოულოდნელად მიიტანა იერიში მტრის დიდ მოთხილამურეთა რაზმზე. გაათრებული ბრძოლის შედეგად გერმანელებმა 200 ჯარისკაცი და ოფიცერი მოუკლეს. ჩვენ ხელთ ვიგდეთ საომარი მასალით, ტანსაცმლითა და მედიკამენტებით დატვირთული 100 საზიდარი და 33 ტყვე. ამავე დღეს მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა კოლონა, რომელიც პუნქტ დ-საკენ მიემართებოდა. ბრძოლის ველზე მტრის 200 გვამი დარჩა.

* * *

უმცროსმა ლეიტენანტმა ამხ. რუსენოვსკიმ და მისმა ოთხმა მებრძოლმა ტყვედ ჩაიგდეს 22 გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

რუმინეთის პირველი დივიზიის 85 ქვეითი პოლკის პირველი ბატალიონის მეთაურმა მაიორმა ბონკეშ მარკუმ, რომელიც სამხრეთის ფრონტზე ტყვედ ჩაგვივარდა, განაცხადა: „უკანასკნელ ბრძოლებში რუმინეთის ჯარებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ოფიცერთა საყოველთაო აზრით, ბევრმა ნაწილმა სავსებით დაჰკარგა ბრძოლის უნარი. მთელს პირველ დივიზიაში მხოლოდ ერთი კაცია, რომელიც დაინტერესებულია ომით. ეს არის დივიზიის გენერალი ბურზო-ტესკუ, რომელიც რკინის ჯვარზე ოცნებობს. რუმინელ ჯარისკაცებს ბრძოლა არა სურთ. ისინი შინ დაბრუნებაზე ოცნებობენ. ჩემი ბატალიონიდან 75 ჯარისკაცი გაიქცა. პარტიზანები განუწყვეტლივ მარჯვედ გვესვრიან და საგრძნობ ზიანს გვაყენებენ. ოდესაში პარტიზანებმა ააფეთქეს შენობა, სადაც გერმანელ და რუმინელ ოფიცრებს კრება ჰქონდათ. სახლის ნანგრევებში დაიღუპა 100-ზე მეტი ოფიცერი, მათ შორის რუმინეთის მე-10 ქვეითი დივიზიის სარდალი და გენერალური შტაბის ოფიცერი“.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილების იერიშების შედეგად სმოლენსკის ოლქის კოზელსკის რაიონის სოფელ პობუჟიდან უკან დახევისას ჰიტლერელებმა სოფლის განაპირა უბანში მორეკეს 120 მოხუცი, ქალი და ბავშვი, რომლებიც ტყვიამფრქვევით დახვრიტეს. დაჭრილები ხიშტებით მოჰკლეს. მხეცურად მოკლულ საბჭოთა მოქალაქეებს შორის ბევრია ბავშვი: ობუხოვები — ვანია — 7 წლისა, მანია — 10 წლისა, ტანია — 1 წლისა, ქანია კოვიჩკინი — 3 წლისა, სუხოვები — ალექსანდრე — 13 წლისა, პავლე — 16 წლისა, ივანე — 9 წლისა და ბევრი სხვა. ჰიტლერელმა ბანდიტებმა მთელი სოფელი გადასწვეს. 170 სახლიდან მხოლოდ 5 სახლი გადარჩა.

* * *

სამამულო ომის დღეებში ფრონტზე წასულთა ნაცვლად ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტში (საქართველო) 200-ზე მეტი ქალი მოვიდა. მაღაროელი ქალები — ამხ. ე. მელაძე, ე. გრინი, კ. ჩაიკოვა, ნ. ზარანოვა და ვოიტოვა ცვლაში ორ-ორ ნორმას ასრულებენ.

## კომკავშირელ საფრონოვის გმირობა

**სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი,** 15 თებერვალი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნ-ის ნაწილმა ბრძანება მიიღო შეტევაზე გადასვლის შესახებ. ბრძოლაში პირველი გაიჭრა კომკავშირელი საფრონოვი. ცხარე ბრძოლის დროს მან შენიშნა, რომ გერმანელმა პირდაპირ დაუმიზნა მეთაურს. საფრონოვმა ერთი თვალის დახამხამებაში მიირბინა გერმანელთან და თავისი მკერდით დაიცვა მეთაური. გავარდა თოფი. მტრის ტყვიით მოკლული გმირი მიწაზე დაეცა. მან სიცოცხლე შესწირა სამშობლოს.

## მეჯინიბე ჩერკასოვმა გერმანელთა ტანკი მოსპო

**მოქმედი არმია,** 15 თებერვალი (საკდესი). სოფელ ე-სათვის წარმოებული ბრძოლის დროს მეჯინიბე ჩერკასოვი უახლოეს ტყეში იმყოფებოდა ცხენების დასაბმელი ადგილის მახლობლად. ამხ. ჩერკასოვმა შენიშნა, რომ სოფელში გერმანელთა ტანკი შეიჭრა და ტყვიას უშენს წითელარმიელებს, რომლებიც ქუჩებში იბრძვიან. ამხ. ჩერკასოვმა გრანატების რამდენიმე კონა შეჰკრა და ხოხვით წავიდა სოფლისაკენ. იგი თხრილით მიეპარა ტანკს და ახლო მანძილიდან ესროლა შეკვრა. კონა აფეთქდა; ტანკი მწყობრიდან იქნა გამოყვანილი.

## ჩვენი მებრძოლები მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას სძლევენ

**დასავლეთის ფრონტი,** 15 თებერვალი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). 80 წითელარმიელმა ამხ. ტიხომიროვის მეთაურობით მტრის გააფთრებული კონტრიერიში მოიგერია, დახოცა 150 გერმანელი და წამოიყვანა ტყვეები, მათ შორის სამი ეფრეიტორი, ერთი ობერ-ეფრეიტორი და ერთი ობერ-ლეიტენანტი. ტიხომიროვმა ხელთ იგდო დიდი დავლა—56 შაშხანა, 8 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, 2 ავტომატი და ბევრი სხვა სამხედრო ქონება.

მტრის ზურგში გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში ბრწყინვალედ მოქმედებდნენ ჩვენი მზვერავები—მეშალკინი, ზინოვიევი, ავაკუმოვი და კურეევი. მათ გარს შემოერტყა გერმანელთა ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ ტყვედ ჩაეგდოთ ისინი. მზვერავები დიდ თოვლში გაწვნენ და, როდესაც გერმანელები ახლოს მოვიდნენ, სროლა აუტეხეს მათ. გერმანელთა მთელი ჯგუფი განადგურებულ იქნა და მისი ნაშთები უწესრიგოდ გაიქცნენ. მამაცი მზვერავები მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში, სადაც მიიტანეს მნიშვნელოვანი ცნობები მტრის შესახებ და დიდი დავლა: 10 ხელის ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, 2 ავტომატი და ქონებით დატვირთული 2 საზიდარი.

**ი. გრიგოვი.**

## მტრის აეროდრომის დაბომბვა

**კარელიის ფრონტი,** 14 თებერვალი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მზვერავებმა მტრის აეროდრომის განლაგებას მიაკვლიეს. ღამით მფრინავებმა სუკმანოვმა, ბორონენკომ და მათმა მებრძოლმა ამხანაგებმა მრისხანე მანქანები აეროდრომის დასაბომბავად წაიყვანეს.

შტურმანებმა თვითმფრინავები პირდაპირ სამიზნეზე გაიყვანეს. მანქანები უცბად შეტრიალდნენ და ერთბაშად წავიდნენ პიკირებით. გაისმა ძლიერ აფეთქებათა ხმა. ხანძრის დაფიონმა ადგილი გაანათა. ცეცხლის ალი მოედო აეროდრომის ნაგებობებს, თვითმფრინავებს, ბენზინიან კასრებს. უეცარი იერიშით დამფრთხალი გერმანელები აქეთიქით გარბოდნენ.

ბომბდამშენები ზედიზედ მიდიოდნენ და შემმუსვრელ ბომბებს ჰყრიდნენ. გერმანელები გონს მოვიდნენ და საზენიტო ქვემეხების სროლა ატეხეს. მაგრამ ყუმბარები თვითმფრინავებიდან შორს სკდებოდნენ და მათ ზიანს ვერ აყენებდნენ. მაშინ გერმანელებმა მოახერხეს ჰაერში აეშვათ 6 ავიაგამანადგურებელი. ისინი შეეცადნენ იერიში მოეტანათ ჩვენს მანქანებზე, მაგრამ ბომბდამშენები, ამოცანის შესრულების შემდეგ, პოლარულ ბნელში გაეხვივნენ და მშვიდობით დაბრუნდნენ თავის ბაზაში.

დილას მზვერავმა მფრინავებმა შეამოწმეს თავისი ამხანაგების ღამის მუშაობა. მტრის აეროდრომზე შავად მოსჩანდა ღრმა ორმოები, ეყარა დალეწილი 4 „მესერშმიტის“ ლითონის ჩონჩხები, დაზიანებული „იუნკერს — 32“ და კვლავ იწვოდა ხუთი ბარაკი—ჯარისკაცთა ყაზარმები.

**ვ. ლევინი**

## „გვარდიელი ნაღმსტყორცნელები“

### (მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზ. „კრასნი ფლოტი“ 13 თებერვლის ნომერში ათავსებს უფროსი პოლიტხელის კოგუტის კორესპონდენციას სევასტოპოლიდან სათაურით: „გვარდიელი ნაღმსტყორცნელები“, რომელშიაც მოთხრობილია სევასტოპოლის დაცვის ეპიზოდები.

დაზვერვის ცნობები და ტყვეების ჩვენებები ცხადჰყოფდნენ, რომ მტერი შეტევაზე გადმოსასვლელად ემზადებოდა. განთიადზე გერმანელთა ორი პოლკი იმ უბნისაკენ წამოვიდა, რომელსაც საზღვაო ქვეითი ჯარი იცავდა. გერმანელებმა იერიშზე გადმოიყვანეს ყველა ძალები, რომლებიც აქ ჰყავდათ, გადასწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეევიწროვებინათ ჩვენი ჯარი. მეზღვაურები გმირულად აკავებდნენ მტრის გააფთრებულ შემოტევას, მაგრამ ძალები თანასწორი არ იყო. მაშინ გვარდიელ ნაღმსტყორცნელებს ებრძანათ დახმარებოდნენ მეზღვაურებს, ეშველნათ მათთვის მტრის იერიშის მოგერიებაში და გაერეკათ მტერი დაკავებული პოზიციებიდან.

მტრის ცეცხლქვეშ ნაღმსტყორცნელებმა ხელსაყრელ პოზიციას მიაღწიეს. სასწრაფოდ მომართეს სამოქმედოდ თავიანთი იარაღი. ერთ ნაღმსატყორცნის გვერდით დგანან ათეულის მეთაური ამხ. საველიევი და მებრძოლი ამხ. ფირცხალავა. საველიევი რუსია, ფირცხალავა ქართველი. ისინი აქ მოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან, რომ ზხარში ამოუდგნენ ერთმანეთს და ისე ანადგურონ მტერი.

ნაღმსატყორცნები ამოქმედდნენ. ძირს ეცემიან ნამსხვრევებით განგმირული ფაშისტი ჯარისკაცები. გერმანელები აირივნენ, გვარდიელ ნაღმსტყორცნელთა ცეცხლის შედეგად ისინი საიერიშო ალღზნებას ჰკარგავენ.

მტრის გეგმა ჩაიშალა. საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფები კონტრიერიშზე გადავიდნენ და მტერი უკუაქციეს რამდენიმე კილომეტრზე“.

**ვ. ყარა-მურზა**

## წითელარმიელმა პანჩენკომ ფაშისტთა შტაბი გაანადგურა

**კალინინის ფრონტი,** 15 თებერვალი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). წითელარმიელი ივანე პანჩენკო, რომელიც მკურნალობის შემდეგ თავის ნაწილში ბრუნდებოდა, შეცდომით გერმანელთა მიერ დაკავებულ სოფელში მოხვდა. ერთმა ქალმა, რომლის სახლშიც მებრძოლი შევიდა, მას უთხრა, მეზობელ სახლში ფაშისტთა რაღაც შტაბი იმყოფებაო, და თანაც გააფრთხილა: „მალე წადით, თორემ შეგამჩნევენო“.

— სადაც გერმანელები არიან, ჩვენ მათ იქ დავარტყამთო,—უპასუხა პანჩენკომ, — აიღო შაშხანა და გერმანიის შტაბის შენობასთან მივიდა. ფანჯარაში მან დაინახა მაგიდის ირგვლივ რუკასთან დახრილი ფაშისტები. პანჩენკომ ესროლა. ჰიტლერელთა შორის პანიკა შეიქნა. ისინი სათითაოდ გამორბოდნენ სახლიდან, წითელარმიელი კი აგრეთვე სათითაოდ პირდაპირ უშენდა მათ. ამგვარად მან ორი გერმანელი მოჰკლა, სამი კი დასჭრა. შემდეგ, როდესაც სახლში არავინ დარჩა, იგი ოთახში შევიდა, წამოიღო შტაბის დოკუმენტები, დროშა, მოკლულ ოფიცერს აართვა „რკინის ჯვარი“ და ყოველივე ეს თავის ნაწილში მოიტანა.

**მ. კორიავიჩევი.**

გერმანელ ფაშისტ ოკუპანტების მხეცობა. როსტოვის ოლქის სოფ. აგრაფენოვკაში დააზიანეს ტელეფონის მავთული. გამხეცებულმა ფაშისტებმა ქუჩაში პირველ შეხვედრილ რვა კოლმეურნეს სტაცეს ხელი და მხეცურად აწამეს. უდანაშაულო ადამიანები დახვრიტეს და შემდეგ გაყინულ მდინარეში ჩაჰყარეს.

სურათზე: წითელი არმიის მიერ სოფლის განთავისუფლების შემდეგ მდინარიდან ამოღებული დახვრეტილთა გვამები. ფოტო მ. როზენბაუმისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## საბჭოთა ჯარების მხარეზე გადმოფრენილი გერმანელი სამხედრო მფრინავის განცხადება

გერმანელმა სამხედრო მფრინავმა, ლეიტენანტმა ჰენრიხ ფრაიტაგმა, რომელიც 1942 წლის 13 თებერვალს ლოზოვენკის რაიონში მოფრინდა და ტყვედ დაგვნებდა, შემდეგი განაცხადა:

„მე თქვენ ნამდვილ სიმართლეს გეუბნებით, ჩემი თვითმფრინავი სრულ წესრიგშია, მე მოტორის გაფუჭების გამო კი არ დავეშვებულვარ, ძალაუნებურად კი არ ჩამოვშვებულვარ ძირს, არამედ განზრახ გადმოვედი საბჭოთა ჯარების მხარეზე და მსურს საბჭოთა ავიაციის რიგებში მივიღო მონაწილეობა საჰაერო ომში ჰიტლერის წინააღმდეგ. ვიცი, რომ არ დამიჯერებთ, მაგრამ მზად ვარ ჩემი სრული ლოიალობის დასამტკიცებლად ყოველგვარი საბუთი მოგცეთ, რასაც კი მომთხოვთ. მე ჩემი უფროსი მდევნიდა და, როცა დავაკვირდი მას და ჩემს გარშემო მყოფ გერმანელ ოფიცრებს, დავრწმუნდი, რომ გერმანიის არმიას ხელმძღვანელობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ღირსნი არ არიან თავისი მოწინააღმდეგისა. დავრწმუნდი, რომ ჰიტლერი ომს დაპყრობითი ინტერესებისათვის ეწევა, თავისი სისასტიკით და მხეცობით ომის წარმოების უმაგალითო მეთოდებს მიჰმართავს. ვიცი, რომ ტყვეებს აწამებენ და ხოცავენ. მასობრივად ხვრეტენ ებრაელებს. ქალაქ ხარკოვში პირადად ვნახე ადამიანები, რომლებიც ქალაქის ცენტრში, მაღალ შენობათა აივნების რიკულებზე იყვნენ ჩამოკიდებულნი. ქალაქ ტაგანროგში გერმანელი ჯარისკაცები დღისით—მზისით სცემდნენ მშვიდობიან მოსახლეობას; ტაგანროგში გავიცანი ერთ რუს ქალიშვილს, სახელად ოლგას, რომელმაც მიამბო, რომ კოლმეურნეობებში გლეხებს სულ მცირედი შეცდომისათვის და სრულიად უდანაშაულოდ ხვრეტენ. მე რუსები მომწონს. რუს მფრინავებთან ურთიერთობისას დავრწმუნდი, რომ ეს მამაცი ადამიანები არიან, რომლებსაც მტკიცედ სწამთ თავიანთი მართალი საქმის გამარჯვება. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ რუსები, რომლებსაც მე ეხვდებოდი ტაგანროგში, მარიუპოლში, ხარკოვში და აქ, სავსებით დარწმუნებული არიან რუსეთის იარაღის საბოლოო გამარჯვებაში. ასეთი დარაზმული ხალხის დამარცხება შეუძლებელია. სიცრუე, გებელსის პროპაგანდისა რუსეთის არმიის გაწყვეტისა და დამარცხებათა შესახებ ჩემში ზიზღს იწვევს მას შემდეგ, რაც პირადად ვნახე, თუ როგორ კარგად არიან ჩაცმულნი და შეიარაღებულნი რუსი ჯარისკაცები, და მას შემდეგ, რაც გერმანიის არმიები უკან იხევენ მთელ აღმოსავლეთის ფრონტზე. ჩვენ გვიმალავდნენ მოსკოვთან და ფრონტის სხვა უბნებზე უკან დახევას. ჩვენთვის ისიც კი არ უთქვამთ, რომ რაიხენაუ მოკვდა. ბრაუხიჩის გადაყენების ამბავი მიზეზების სრულიად აუხსნელად გვაცნობეს. მართალია, ოფიცრებსა და მფრინავებს, რომლებიც თავისუფალ დროს კაზინოში ატარებენ ბანქოს თამაშსა და ლოთობაში, ნაკლებად აინტერესებთ სხვა საკითხები, მაგრამ მაინც ჩვენ რომ პატიოსანი ხელმძღვანელობა გვყოლოდა, მას უნდა ეთქვა ჩვენთვის, თუ რატომ ხსნიან და ჰკლავენ გენერლებსა და ფელდმარშლებს, თუ ოფიცრებს ნაკლებად ეუბნებიან სიმართლეს, თვით გერმანიაში არათუ მალავენ ნამდვილ მდგომარეობას, არამედ, პირიქით, გებელსი პირებით კვებავენ მოსახლეობას. და მაინც განწყობილება ჩვენს სამშობლოში მეტისმეტად სასოწარკვეთილია. გამარჯვების რწმენა, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ იგი ჩაგვინერგონ, სულ უფრო და უფრო ნაკლებ მომხრეებს ჰპოულობს. პრუსიელები ჯერ კიდევ ისახავენ იდეალებს, მაგრამ ავსტრიაში, ბავარიაში ომით უკმაყოფილება იზრდება. ეს ადამიანები რეალისტები არიან, მათ ესმით, თუ საით მიჰყავს ისინი ამ ომს და სულ უფრო და უფრო ხშირად გამოსთქვამენ აშკარად თავიანთ აზრს ომის წინააღმდეგ და ჰიტლერის წინააღმდეგ. სულ სხვა ნაირადაა საქმე თქვენში. სტალინი ზრუნავს ხალხისათვის, ჰიტლერი კი მხოლოდ თავის მახლობლებს უვლის. ჯარისკაცებს სიძულვილით უცქერის მათ. ჯარისკაცებს სიძულვილი და სისასტიკეში ზრდიან. მე მძულს ეს არმია, რომელიც სწვავს ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავს და სძარცვავს მშვიდობიან მოსახლეობას, და ყოველივე ამას სჩადის ჰიტლერისა და მისი ხროვის მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფებისათვის. მე მსურს ვიბრძოლო იმ არმიის რიგებში, რომელიც ასე მამაცურად იცავს თავის სამშობლოს, თავის დედებს და თავისი ბავშვების მომავალს. რუსეთის ჯარები განუწყვეტლივ იღებენ სოფლებს, და მალე დადგება მომენტი, როცა ჰიტლერის სამხედრო მანქანა, სიცრუესა და ძალადობაზე აგებული, დაიშლება. დასაწყისი უკვე იგრძნობა. ხარკოვში ყველაფერი მზადდება ევაკუაციისათვის, ჩვენი ავიაგამანადგურებლების ჯგუფმა მთელი მოსამზადებელი მუშაობა გასწია ქალაქის დასატოვებლად. წინათ ჩვენ აღმოსავლეთისაკენ მოვდიოდით. ახლა კი დასავლეთისაკენ წასასვლელად ვემზადებით“.

გარდა სიტყვიერი განცხადებისა, სამხედრო ტყვემ სურვილი გამოსთქვა წერილობით გაეკეთებინა შემდეგი განცხადება:

„რუსეთი, 42 წლის 15. II. მე, რეიხანგელი სებასტიანე ფრაიტაგის ოჯახიდან გამოსული, რუსების მხარეზე გადავედი იმისათვის, რომ ვიბრძოლო გერმანელ მტაცებელმძარცველთა წინააღმდეგ. ამ გადმოსვლის ვარეგანი საბაბი გახდა ჩემი აბუჩად აგდება ჩემი უფროსების მხრივ, მუქარა და დაპატიმრება. ჩემთვის შემაძრწუნებელი სურათი იყო, როცა ხარკოვში ვნახე აივნებზე ჩამოკიდებული უდანაშაულო რუსი ადამიანები. ზოგიერთი ნაამბობიდან გავიგე, რომ ყველა ებრაელს ხვრეტენ. გერმანია ყაჩაღურ ომს ეწევა რუსეთის წინააღმდეგ. ამასთან ერ თავს კლამობს ტყვეთა აბუჩად აგდებას და წამებას. არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ გამარჯვება რუსებს დარჩებათ. საკმარისია მხოლოდ უფრო ახლოს გაეცნო რუს ხალხს—ყველგან ხვდები უძლიერს დარაზმულობასა და გამარჯვების რწმენას. მე ვესაუბრე რუს მფრინავებს, და ჩვენ ერთმანეთი კარგად გავიგეთ. ერთ-ერთი საუბრის დროს ჩვენ ჰიტლერიზმის გარდუვალ კრახზე ვლაპარაკობდით.

**ჰენრიხ ფრაიტაგი“.**

## საბჭოთა კავშირის გმირი კომკავშირელი-პარტიზანი ალექსანდრე ჩეკალინი

დიდი სამამულო ომის ისტორიის ოქროს წიგნში დღეს ცეცხლოვანი ასოებით ჩაიწერა კიდევ ერთი ამაყი სახე. სახალხო გმირ ლიზა ჩაიკინას გვერდით, ვოლოკოლამსკის რვა უკვდავი წამებულის გვერდით, კომკავშირის მამაცი ქალიშვილის პარტიზან ტანიას გვერდით საყოველთაო-სახალხო დიდების კვარცხლბეკზე ავიდა თექვსმეტი წლის სახელოვანი პარტიზანი ალექსანდრე ჩეკალინი, რომელსაც სიკვდილის შემდგომ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

„ბოლშევიკები ის ხალხია, რომელმაც იცის ბრძოლა თავისი სიცოცხლის დაუზოგავად“,— ამბობდა დაუვიწყარი კიროვი. ეს სიტყვები სულ უფრო და უფრო ხშირად გვაგონდება ჩვენს გმირულ დროში, როდესაც სიკვდილის არაფრად მიჩნევა ფართოდ გავრცელდა მასებში და გამარჯვების მძლავრი მამოძრავებელი გახდა. სამშობლოს დამცველნი სიკვდილს არაფრად აგდებენ, ყოველგვარ მსხვერპლს იღებენ გამარჯვებისათვის, და ანადგურებენ საბჭოთა მიწა-წყალზე შემოჭრილ მტერს. მტრის ზურგში დარჩენილი საბჭოთა პატრიოტები არაფრად აგდებენ სიკვდილს, არ ერიდებიან არავითარ ხიფათს, ანადგურებენ ფაშისტებს და მთელი ძალღონით ეხმარებიან არმიებს, რომლებსაც იერიში მიაქვთ გერმანელებზე ფრონტიდან.

არავითარ მკვლელობას, არავითარ სასჯელს არ ძალუძს ჩაახრჩოს მძლავრი პარტიზანული მოძრაობა, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო მრისხანე იარაღი ხდება ფაშიზმის წინააღმდეგ. წითელი არმიის გამარჯვებანი ფრონტზე მძლავრ გამოძახილს იწვევენ ცეცხლის ხაზს იქით, აღვიძებენ და ბრძოლისაკენ მოუწოდებენ მილიონობით ადამიანებს. და კომკავშირელნი, მტრის ზურგში დარჩენილი საბჭოთა სახელოვანი ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო მაღლა სწევენ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის დროშას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ჩეკალინი მოხსენებულია ალექსანდრე პავლეს-ძედ. ჯერ კიდევ გუშინ ყველასათვის, ვინც კი მას იცნობდა, იგი იყო შურა ჩეკალინი, მხიარული და მკვირცხლი მოზარდი, რომელიც ხარბად ეწაფებოდა სწავლას, უკვე მიაღწია საშუალო სკოლის მეცხრე კლასს და ოცნებობდა უმაღლესი განათლების მიღებაზე. მაგრამ აი მოვიდა ომი, მან შესცვალა ჩვენი ცხოვრების მთელი წყობა. და შურა ჩეკალინი სწრაფად დავაჟკაცდა და მეომარი გახდა. უნებურად გვაგონდება მ. ი. კალინინის შთაგონებული სიტყვები: „თქვენ ხედავთ, რა მალე იქცევიან ჩვენს დროს ჭაბუკები მეომრებად, ვაჟკაცებად. მშვიდობიან დროს ამას წლები მოუნდებოდა. იმ კომკავშირელებისათვის, რომლებიც ფრონტზე არიან, სიჭაბუკემ უკვე განვლო, ისინი მებრძოლები გახდნენ“.

დიახ, ჩეკალინი მებრძოლი გახდა, და მებრძოლი არაჩვეულებრივი, მოწინავე, გაბედული და გულადი მებრძოლი. ომის პირველი დღეებიდანვე თავდაბალი მოსწავლე ტულის ოლქის ქალაქ ლიხვინიდან მებრძოლად ჩაეწერა გამანადგურებელ ბატალიონში. იგი ხარბად ეუფლებოდა სამხედრო ცოდნას, ხოლო როდესაც ფრონტის ხაზი მის მშობლიურ ადგილებს მიუახლოვდა ალექსანდრე ჩეკალინი პარტიზანულ რაზმში წავიდა, გაბედული და მამაცი მზვერავი გახდა.

პარტიზანი ჩეკალინი თავის არსებაში განასახიერებდა სტალინური ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებებს და გადაჭრით და მამაცურად ანადგურებდა მტერს.

ერთხელ, როდესაც ჩეკალინი გერმანელებს იარაღს სტაცებდა, მტრებმა იგი შეიპყრეს. ჭაბუკ პარტიზანს გარდუვალი სიკვდილი მოელოდა. მაგრამ ამ მამაცმა და მარჯვე ჭაბუკმა მოახერხა პატიმრობიდან გაქცევა და თავის მშობლიურ პარტიზანულ რაზმში დაბრუნება.

როდესაც გაჩაღებული იყო სასტიკი ბრძოლები მტერთან, ჩეკალინი ავად გახდა. პარტიზანებმა მას წინადადება მისცეს წასულიყო მშობლიურ სოფელში, ტულის ოლქის ჩერეპეცის რაიონში, სადაც ცხოვრობდა ბებიამისი, რათა იქ დაესვენა და ემკურნალა. ჩეკალინმა გად[illegible] მაშინ რაზმის ხელმძღვანელებმა მისცეს მას საბრძოლო დავალება—მოეხდინა დაზვერვა მშობლიურ სოფელში, ხოლო ამავე დროს გაჩერებულიყო იქ და რამდენიმე დღე მაინც დაეყო სითბოში. მხოლოდ მაშინ დათანხმდა დაუცხრომელი კომკავშირელი წასულიყო სოფელში.

მტრები თვალყურს ადევნებდნენ ჭაბუკ, მაგრამ მათთვის უღირსად საშიშ მოწინააღმდეგეს. და როდესაც იგი თავის მშობლიურ სოფელში მივიდა, იმ ქოხს, რომელშიც ჩეკალინი გაჩერდა, ფაშისტების მთელი რაზმი შემოერტყა. მათ იერიში მიიტანეს ქოხზე ისე, თითქოს მათ წინაშე იყო მთელი შეიარაღებული რაზმი და არა ერთი თექვსმეტი წლის პარტიზანი. ჩეკალინი არ შედრკა და თავი არ აარიდა უთანასწორო ბრძოლას. ჭაბუკი პარტიზანი გამსჭვალული იყო გადაწყვეტილებით — ძვირად გაეყიდა თავისი სიცოცხლე, და ფაშისტებს გრანატი სტყორცნა.

აფეთქება არ მოხდა: გრანატმა უმტყუნა. გახარებულმა მტარვალებმა შეიპყრეს ჭაბუკი პარტიზანი. ისინი სტანჯავდნენ და აწამებდნენ მას, მაგრამ იგი მდუმარე ზიზღით უგულებელჰყოფდა ჯალათების ყველა ცდას დაეცდენინებინათ თუნდაც ერთი სიტყვა პარტიზანებზე. ფაშისტებმა ჭაბუკი გმირი სახრჩობელაზე წაიყვანეს. უკანასკნელ წუთამდე დაუვიწყარ ალექსანდრე ჩეკალინს თავი ეჭირა, როგორც ნამდვილ გმირს. **„ჩვენ ბევრნი ვართ,—ყველას ვერ ჩამოახრჩობთ!“**—შესძახა მან უკანასკნელ წუთს ფაშისტებს და „ინტერნაციონალის“ სიმღერა წამოიწყო.

ყულფი ყელში წაეჭირა ჭაბუკ მებრძოლს, არ დაამთავრებინა ძლევის სიმღერა. მაგრამ გამარჯვება მას დარჩა, — ახალგაზრდა მეომრის სული, ნებისყოფა საზიზღარი მტრების ავტომატებსა და ტყვიამფრქვევებზე უფრო ძლიერი გამოდგა. და თუმცა ახლა ალექსანდრე ჩეკალინი ჩვენთან აღარ არის, მისი სახელი, მისი სული მაინც ცოცხლობს. იგი სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში. იგი თავისი ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც იცოცხლებს ჩვენს გულში, მისი სიცოცხლის მაგალითი გამარჯვებისაკენ მოგვიწოდებს.

ასე კვლავ და კვლავ დასტურდება ჩვენი დროის მკაცრი კანონი: **ბოლშევიკები სიკვდილზე უფრო ძლიერნი არიან; გმირები კი არ კვდებიან, არამედ სამუდამოდ ცოცხლობენ ხალხში; სამშობლოს დაცვისას თავის პოსტზე სიკვდილი დაღუპვა კი არ არის, არამედ უკვდავებაა.**

საბჭოთა ადამიანებს ვერ მოხრი, ვერ დასძლევ. მათ ვერ დააჩოქებ. თვით სიკვდილი, უძლური და შეშინებული, უკან იხევს მათ წინაშე. ფაშისტებმა შესძლეს ფიზიკურად მოეკლათ ლიზა ჩაიკინა, ვოლოკოლამსკის რვა ჭაბუკი გმირი, ალექსანდრე ჩეკალინი, მაგრამ ამით მათ მხოლოდ გაამრავლეს თავის მოწინააღმდეგეთა ძალები, ჩვენი ძალები.

და დღეს ჭაბუკი გმირის ალექსანდრე ჩეკალინის ახლად გათხრილ საფლავზე კომკავშირი ხრის თავის საბრძოლო დროშებს და აღელვებითა და გულისწყრომით სდებს ფიცს:

— ჩვენ არასოდეს არ დაგივიწყებთ შენ, ჩვენო ძვირფასო ალექსანდრე ჩეკალინ. შენი ხსოვნა მარად იცოცხლებს. შენი სახელი მუდამ იქნება ბრძოლისაკენ მომწოდებელი. შენ მთლად ჭაბუკი იყავი, შენ ვერ იგემე ცხოვრების ყველა სიხარული. შენ ვერ მოესწარ გამარჯვების ბედნიერ დღეს. ყოველივე ამისათვის ჩვენ გადაუხდით ფაშისტებს. ჩვენ მათ ანგარიშში ჩავუწერთ შენი სპეტაკი ჭაბუკური სისხლის ყოველ წვეთს. ჩვენ მათ მოვაგონებთ ყოველ კვნესას, რომელიც შენ მკერდიდან ამოგახეთქინეს. ასეულობით თავისი შავი სიცოცხლით ზღავენ ფაშისტები შენს ერთ სიცოცხლეს. მაშ დაე უფრო ხმამაღლა გაისმას ჩვენი ამაყი და მრისხანე შეძახილი: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“. სიკვდილი და მხოლოდ სიკვდილი იქნება საზიზღარ ჰიტლერელ ჯალათთა ხვედრი.

(„კომსომოლსკაია პრავდის“ მოწინავე, 5/II).

## ურჯუკი ჰიტლერელების სისხლიანი თარეში

**დასავლეთის ფრონტი,** 14 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი წითელი არმიის მიძალების გამო უკანდახევისას საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების მშვიდობიან მცხოვრებლებზე იყრიან ჯავრს.

გერმანელებმა სოფელ ბორისოვში კოლმეურნეთა დასაშინებლად მხეცურად აწამეს 66 წლის კოლმეურნე ოლღა ნიკოლოზისასული გუსენკოვა. გერმანელმა ინკვიზიტორებმა სახრჩობელა გააკეთეს ქუჩაში, მორეკეს ამ სახრჩობელასთან სოფლის მთელი მოსახლეობა დიდით პატარამდე და დაიწყო სრულიად უდანაშაულო ქალის წამება. მათ მარყუჟი გადააცვეს თავზე გუსენკოვას, ხან მოუჭერდნენ მარყუჟს, ხან მოუშვებდნენ. ეს წამება რამდენიმე საათს გაგრძელდა. ფაშისტმა ბარბაროსებმა თოვლში ჩააგდეს გონებადაკარგული და შეშლილი ქალი. გერმანელებმა გაძარცვეს გუსენკოვას სახლი, ყველაფერი წაიღეს, სრულიად არაფერი არ დაუტოვებიათ.

გერმანელებმა სოფელ ლომანოვოში მხეცურად აწამეს 70 დაჭრილი წითელარმიელი და 12 კოლმეურნე, მოჰკლეს რკინიგზის ასაქცევის უფროსი ანდრია კუზმას-ძე ვასილიევი. სოფელ პიატაკოვოში გერმანელმა ჯარისკაცებმა ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს კოლმეურნე—78 წლის ანა აბრამისასული კნიაზევა იმისათვის, რომ მან თავისი უკანასკნელი ქურქი არ მისცა ოკუპანტებს. მეორე სოფელში გერმანელებმა მოჰკლეს კოლმეურნე ლ. ე. ლუკაშოვას 12 წლის ქალიშვილი იმისათვის, რომ გოგონამ იტირა, როდესაც გერმანელ ფაშისტებს მისი ტანსაცმელი მიჰქონდათ სახლიდან.

**ა. ვიქტოროვი.**

## პარტიულ-ტექნიკური კონფერენცია სტალინის სახელობის ქარხანაში

გუშინ, 16 თებერვალს, ჩატარდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულ-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. ვ. დაშნიევმა.

საწარმოში სამამულო ომის პირობებში ოსტატის როლის შესახებ კონფერენციამ მოისმინა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ნეფარიძის მოხსენება.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ოსტატის ამოცანებზე, რომლებიც დასახა საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციამ. ოსტატის როლი და ამოცანები კიდევ უფრო გაიზარდა სამამულო ომის ვითარებაში. ოსტატი უნდა იყოს სრულუფლებიანი ხელმძღვანელი მისთვის მინდობილ უბანზე, იგი პასუხისმგებელია ტექნოლოგიური და შრომითი დისციპლინის დაცვისათვის, ახალი კადრების აღზრდისათვის, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, მომჭირნეობისათვის, გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის.

ამხ. ნეფარიძემ დაასახელა ქარხნის ინიციატივიანი და უნარიანი ოსტატები, რომლებიც წარმოების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენენ. ასეთთა რიცხვს მომხსენებელმა მიაკუთვნა ამხ. საჩკოვი, კუპრავა, ზაიევი, პეტრენკო, თამარ ქადაგიშვილი, დოლგალევი, კირაკოზოვი. მაგრამ მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იმ ოსტატებზეც, რომლებიც კვლავ ძველებურად მუშაობენ. მან გააკრიტიკა ოსტატების ამხ. ანთაძის, ხუციშვილის, მეხტიევის და სხვ. მუშაობა, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ გახდნენ წარმოების ორგანიზატორები, ვერ მუშაობენ საომარ დონეზე. ეს კი აფერხებს მეტი ორთქლმავლებისა და ვაგონების მაღალხარისხოვან რემონტს, რაც ესოდენ საჭიროა სოციალისტური ტრანსპორტისათვის.

ამხ. ნეფარიძის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. პირველი გამოდის ელექტროშედუღებელი სამქროს ოსტატი ამხ. კოშაძე. იგი ლაპარაკობს ოსტატის როლზე. ზოგიერთ ოსტატებს სამქროთა ხელმძღვანელები არ უქმნიან ავტორიტეტს. ზოგჯერ მუშა ისე გადაჰყავთ ერთი ცვლიდან მეორეში, რომ ამაზე ოსტატმა არაფერი არ იცის. ხდება ისიც, რომ მუშას ოსტატის გვერდის ავლით აძლევენ დავალებას. მუშა წუნდებულ პროდუქციას რომ გამოუშვებს, ამ ამბავს მხოლოდ შემდეგ გებულობს ოსტატი.

ინჟინერმა ამხ. ანტონოვმა კონფერენციას მოუთხრო იმ მუშაობაზე, რასაც ეწევიან სავაგონო სამქროების ოსტატები მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის. მანვე მოიყვანა ხარატ ამხ. შალუტაშვილის მაგალითი, რომელმაც უარი განაცხადა ოსტატის დავალების შესრულებაზე.

დასასრულ ამხ. ანტონოვმა გადაჭრით მოითხოვა, რომ ოსტატები მუშაობდნენ თავიანთ იდეურ-ტექნიკური დონის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რადგან უამისოდ ძნელია ოსტატმა ავტორიტეტი მოიპოვოს, წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი.

ამწყობი სამქროს მოწინავე ბრიგადირმა ამხ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ ზოგჯერ მუშები და მოწყობილობანი მოცდენილი არიან, ოსტატები კი ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ოსტატმა ამხ. ჩერკასოვმა კონფერენციას მოუთხრო, რომ ოსტატებს თითქმის ნახევარი დრო დეტალებისა და იარაღების ძებნაში ეკარგებათ. იგი მოწყვეტილია თავის უბანს და ვეღარ ეხმარება სტახანოველებსო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამწყობი სამქროს უფროსმა ამხ. მკერვალიშვილმა, ქარხნის მიღება-დათხოვნის განყოფილების უფროსმა ამხ. მინასაშვილმა, ინჟ. სვეტოვმა, ელექტრომავლების სამქროს ოსტატმა ამხ. კუპრავამ, სტახანოველმა შემდულებელმა ამხ. ახმეტოვმა.

კონფერენციის დასასრულს, საბოლოო სიტყვით გამოვიდა ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. ნეფარიძე.

კონფერენციამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სამამულო ომის პირობების შესაბამისად ოსტატის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას, მეტი და მაღალხარისხოვანი ორთქლმავლების, ელექტრომავლებისა და ვაგონების გამოშვებას.

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

**საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1942 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებში აღდგენილი არიან:** გოგია მარკოზის-ძე ვარადაშვილი, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო სამუშაოს გაცდენისათვის; პაშა აგაისძე იახაეკოვი, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

**საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1942 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებში აღდგენილია** მიხეილ იოსების-ძე ტყემალაძე, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკეთესოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა

დადგა გადამწყვეტი დღეები საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში. საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები ფრიად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. მიმდინარე წელს საქართველოს სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უნდა მიაწოდოს ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას.

ამ საბრძოლო ამოცანის სასახელოდ შესრულება მოითხოვს დროულად დამზადებულ, გაწმენდილ და სრულ კონდიციამდე დაყვანილ იქნას სათესლე მასალა. ამავე დროს ამთავითვე უნდა იქნას სრულ წესრიგში მოყვანილი სატრაქტორო პარკი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ მინდვრად ორგანული სასუქის გატანას, რადგან ეს მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება მოითხოვს აგრეთვე მუშა-პირუტყვის გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანას, რადგან პირველხარისხოვან იარაღ-მანქანებთან ერთად საჭიროა ხვნა-თესვის საქმეში მაქსიმალურად გამოვიყენოთ მუშა-პირუტყვი.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის XXIV წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მთელი რიგი კოლმეურნეობები მებრძოლურად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. თელავის რაიონის სოფ. რუისპირის კოლმეურნეობამ სრულ კონდიციამდე დაიყვანა მთელი სათესლე მასალა და დაამთავრა იარაღ-მანქანების რემონტი. ასევე ითქმის სოფ. დუმასტურის დიდი ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაზე.

სტალინგრადის ოლქის ილოვლინსკაიას მტს-ის კომკავშირის და ახალგაზრდობის და გორის მტს-ის მუშაკთა მოწოდებამ სათადარიგო ნაწილების, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაკეთებელი ინსტრუმენტების, ლითონის ნარჩენების შეგროვების შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში. იქ, სადაც სერიოზული ყურადღება მიაქციეს შინარესურსების ფართოდ გამოყენებას, საუკეთესო შედეგებსაც მიაღწიეს. ამის შედეგია, რომ ქარელის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წნორის, ალაზნისა და ლაგოდეხის მტს-ებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს ტრაქტორების რემონტი.

მაგრამ ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. მცხეთისა და ქარელის რაიონებში ვერ უზრუნველჰყვეს საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებულ ვადებში 1942 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების დაყვანა კოლმეურნეობებამდე და კოლმეურნეებამდე. ამ რაიონებში გაშლილი არ არის მუშაობა საკოლმეურნეო ბრიგადებისა და მათში რგოლების დაკომპლექტებისათვის.

სათესლე მასალის გაწმენდა ჩამორჩა საგარეჯოს, კასპის, თბილისის, სიღნაღის, გორის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

მცხეთისა და ბორჩალოს მტს-ებში უპასუხისმგებლობას იჩენენ ტრაქტორების შეკეთების საქმეში. 10 თებერვლისათვის მცხეთის მტს-ს 48 ტრაქტორიდან შეკეთებული ჰქონდა მხოლოდ 20, ბორჩალოს მტს-ს 50-დან—18.

ქარელისა და მცხეთის რაიმიწგანები უდარდელობას იჩენენ თესვისათვის მზადებაში. მაგალითად, ქარელის რაიმიწგანს არავითარი ცნობა არ მოეპოვება კოლმეურნეობებში ბოსტნეული კულტურების თესლის რაოდენობისა და დანაკლისის შესახებ. მცხეთის რაიმიწგანმა არ იცის, თუ როგორ მიმდინარეობს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი.

ზოგან უგულებელჰყოფენ თესვისათვის მუშა-პირუტყვის მომზადებას. გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხის სტალინის სახელობის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვი გაძლიერებულ კვებაზე არ გადაუყვანიათ. ასეთსავე ფაქტებს ადგილი აქვს ქარელისა და მცხეთის ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, მტს-ებმა და პოლიტგანყოფილებებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები თესვისათვის მზადებაში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

საკოლმეურნეო სოფლის მუშაკებო, კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, მებრძოლურად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, სასახელოდ შევასრულოთ დიდი **სტალინის** მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა — მივცეთ ფრონტს და ჩვენს ქვეყანას სულ უფროდაუფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობას და ამით დავეხმაროთ გმირ წითელ არმიას გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურების საქმეში.

## საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

**ბათუმი,** 16 თებერვალი (საქინი). 15 თებერვალს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხები აჭარაში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულების შესახებ, აჭარის პარტორგანიზაციებში საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დაყენების შესახებ და ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. თვალჭრელიძემ.

მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა აჭარის მიწსახკომმა ამხ. გოგოლიშვილმა. კამათში გამოვიდნენ ამხ. ყურშუბაძე (ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ლავასაძე (ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ჰანკურიძე (ქობულეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე), სურმანიძე (ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ნანუკაშვილი (ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), მუშკუდიანი (ქობულეთის მტს-ის დირექტორი), მამულაძე (ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ფუტკარაძე (აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე) და სხვ.

აჭარის პარტორგანიზაციებში საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დაყენების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. რუხაძემ. კამათში გამოვიდნენ ამხ. ახვლაძე (აჭარის ასსრ სახკომსაბჭო), კემხაძე (პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი), მარშანია (პარტიის ხულოს რაიკომი), ნიჟარაძე (აჭარის განსახკომი), შარაშიძე (პარტიის ბათუმის რაიკომი), სარუხანოვი (საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტი), სტეპანოვი (ნავთსახდელი ქარხანა) და სხვ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. თვალჭრელიძე.

მოსმენილ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუციები. საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ა. სარუხანოვი.

# ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ წითელი არმიის XXIV წლისთავს და საბჭოთა საქართველოს XXI წლისთავს

## 900 და მეტი პროცენტით

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი ახალი გამარჯვებებით ხვდება წითელი არმიის XXIV წლისთავს და საბჭოთა საქართველოს XXI წლისთავს.

განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს ელექტროსაამქრო, რომელიც ვადამდე და დიდი გადაჭარბებით ასრულებს სასწრაფო დავალებებს. საამქროს ელექტრიკოსმა ამხ. მ. ჯოხაძემ 14 თებერვალს დავალება 861 პროცენტით შეასრულა. კიდევ უკეთ მუშაობს ელექტრიკოსი ამხ. არ. პიპირიდი. მან 14 თებერვალს დღიური გეგმის 933 პროცენტი მოგვცა. დავალებას 7-8 ნორმას იძლევიან აგრეთვე ამხ. ამურველაშვილი, თეთრაძე, ზეინკალი ამხ. ჩიხლაძე, ხაჩატურიანი და სხვ. ქარხანაში შექმნილია სამი საფრონტო ბრიგადა, რომლებიც საუცხოოდ მუშაობენ. კომკავშირული ახალგაზრდობა არა სამუშაო საათებში ეწევა ავტომანქანების შეკეთებას.

სერიოზული ყურადღება ექცევა ადგილობრივი რესურსების გამოყენებას. საძარე საამქროს კოლექტივი ფართოდ იყენებს ხის მასალის ნარჩენებს. ამწყობი საამქროს მოწინავე კომკავშირელმა ამხ. ბლახმა წამოაყენა წინადადება, რომელიც ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას ეხება და ქარხანას დიდძალ დანაზოგს აძლევს.

ქარხნის კოლექტივი პირობას იძლევა, რომ თავდადებით იმუშავებს, ფრონტს მისცემს მეტსა და მეტ მრისხანე იარაღს ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

## ჯვირთზიდვის გეგმებს წარმატებით ასრულებენ

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნავთლუღის სატვირთო სადგურის კოლექტივი აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებით ხვდება წითელი არმიის XXIV წლისთავს და საბჭოთა საქართველოს XXI წლისთავს. აქ იანვარში და თებერვლის პირველ ნახევარში ვაგონების დატვირთვის დავალება გადაჭარბებით შესრულდა. სტახანოველი მტვირთავები ამხ. ლ. ასაკაშვილი, ნ. მანძოლაშვილი, ა. თომაზაშვილი, ვ. დათიაშვილი, გეგმებს 240-250 პროცენტით ასრულებენ.

კარგად მუშაობს აგრეთვე სადგურ გურჯაანის კოლექტივი, რომელმაც იანვრის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და ასევე მუშაობს თებერვალშიც. სადგურის მოწინავე ადამიანებმა ვაგონების მოცდენა 6 საათით შეამცირეს. მატარებლის შეუფერხებლად მუშაობისათვის თავდადებულად იბრძვიან ლუწინელი მეისრეები ამხ. ზ. სონღულაშვილი, ნ. ბეჟაშვილი და ს. მოსულიშვილი.

**ტ. ციბაძე**
**ა. აგლაძე**

## სადღესასწაულო საჩუქრები გმირ მებრძოლებს

წითელი არმიის XXIV წლისთავთან დაკავშირებით თბილისის რაიონის მშრომელები ძვირფას საჩუქრებს უგზავნიან მამაც წითელ მებრძოლებს. ფრონტზე გასაგზავნად შეგროვილია 355 კილოგრამი ღორის ხორცი, 1.272 ლიტრი ღვინო, 636 კილოგრამი ვაშლი, 420 კილოგრამი ყველი, 1.273 კოლოფი თამბაქო, 250 ფრთა ინდოური და ქათამი, აგრეთვე მურაბა, ჩურჩხელები და სხვა სურსათ-სანოვაგე.

საჩუქრები განსაკუთრებით უხვად დაამზადეს სოლოლაკის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს გაუგზავნეს 108 ლიტრი ღვინო, 36 ფრთა ქათამი, 225 კვერცხი, 130 კოლოფი თამბაქო, 79 კილოგრამი ვაშლი.

ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საჩუქრებთან ერთად მებრძოლებს პატრიოტული წერილი გაუგზავნეს.

საჩუქრების დამზადება მთელ რაიონში დიდი წარმატებით გრძელდება.

**ო. სამხარაძე**

* * *

**გურჯაანი** („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვნად განაგრძობენ გმირი წითელი არმიის მამაცი მებრძოლებისათვის ახალ-ახალი საჩუქრების გაგზავნას. სახელოვან თარიღთან — წითელი არმიის XXIV წლისთავთან დაკავშირებით რაიონში უკვე შეაგროვეს 500 ვედრომდე ღვინო, 124 სული ცხვარი, 41 სული ღორი, 421 ფრთა შინაური ფრინველი, 450 კილოგრამი ბრინჯი, 70 კილოგრამი ლორი, 126 კილოგრამი ყველი, აგრეთვე ჩურჩხელები, ხილი და მრავალი სხვა.

მარტო სოფ. კარდანახის კოლმეურნეებმა საჩუქრად შეაგროვეს 101 ვედრო ღვინო, 5 ცხვარი, 4 ღორი, 43 ფრთა ფრინველი, 5 კილოგრამი ყველი, 15 კილოგრამი ლორი და სხვ.

ასევე გულუხვად გაიღეს საჩუქრები წითელი არმიის მებრძოლებისათვის სოფ. ძველი გურჯაანის, კაჭრეთის, არაშენდის, ჯიმითის, ველისციხის, ახაშენის, შაშიანის და სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა.

16 თებერვალს წითელარმიელებისათვის გასაგზავნად რაიონში უკვე დატვირთეს საჩუქრებით 2 ვაგონი. გარდა ამისა, წითელარმიელთა საჩუქრებით გამზადებულია 200 ამანათი.

* * *

**ქარელი** (ტელეგრაფით). რაიონის მშრომელებმა წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს 15 თებერვალს გაუგზავნეს ერთი ვაგონი საჩუქარი: ღვინო და ლიქიორი 2925 ბოთლი, 400 კილოგრამი ვაშლი, 371 კილოგრამი ღორი, 114 კილოგრამი ყველი, 187 კილოგრამი შაქარი, 45 კილოგრამი ხმელი ხილი, 456 კილოგრამი წნილი; მეორე ვაგონი იგზავნება 17 თებერვალს, სახელდობრ: 1 ტონა ვაშლი, 400 კილოგრამი ლორი, 200 კილოგრამი ყველი, 2.000 ბოთლი ღვინო და სხვ.

მოქმედი არმია (დასავლეთის ფრონტი). სურათზე: უმცროს ლეიტენანტ კუჩუმოვის ქვეგანაყოფი მიდის იერიშზე. ფოტო დ. ჩერნოვისა (საკდეის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

საქართველოს საბჭოთა მწერლების გაფართოებულმა პლენუმმა მოისმინა ამხ. ირ. **აბაშიძის** მოხსენება „საბჭოთა მწერლობა სამამულო ომის დღეებში“. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო იმ საკითხებს, რომლებიც განიხილა ამასწინათ მოსკოვში შემდგარმა მწერლების კავშირის გაფართოებულმა სხდომამ, სადაც ამხ. ა. ფადეევის მოხსენებასა და ნაციონალურ რესპუბლიკათა წარმომადგენლების გამოსვლებში დემონსტრირებული იყო საბჭოთა მწერლების მტკიცე ერთსულოვნობა, სიძულვილი ფაშისტებისადმი და მტრის განადგურების ურყევი რწმენა. რუსი და უკრაინელი მწერლები უდიდეს მუშაობას ეწევიან. ბევრმა მათგანმა ნამდვილ საომარ ყაიდაზე გარდაქმნა თავისი მუშაობა, ისინი აქტიურად ეხმარებიან საბჭოთა ხალხს და მის გმირ წითელ არმიას პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში. სტავსკი, კორნეიჩუკი, ბაჟანი, მალიშკო, ვანდა ვასილიევსკაია და მრავალი სხვა მწერალი ომის დაწყების პირველი დღიდანვე სამამულო ომის ფრონტზე იმყოფებიან. რედაქტორობენ საფრონტო გაზეთებს, სწერენ ნარკვევებს, ლექსებს, პიესებს, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში და იარაღით ხელში უშუალოდ იბრძვიან მოქმედ არმიაში. სამამულო ომის ფრონტზე ღებულობენ ისინი უმდიდრეს შთაბეჭდილებებს, მხატვრული სიტყვით ამხნევებენ ჩვენს მებრძოლებს, აღფრთოვანებენ მათ მედგარი ბრძოლებისათვის. მათ ძლიერ ბევრი რამ გააკეთეს ფრონტისათვის, რაც მოსვენებას არ აძლევს ფაშისტებს.

ქართველ მწერლებს დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. ის, რაც დღემდის გაკეთდა, საკმაო არ არის. ზოგიერთი მწერალი თითოოროლა ლექსის დაწერითა და სიტყვიერი გამოსვლით დაკმაყოფილდა, „მნათობმა“, „ლიტერატურულმა საქართველომ“, „ლახვარმა“ ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ გარდაქმნეს მუშაობა. ჩვენი ლექსები, მოთხრობები, პიესები მთლიანად სამამულო ომის თემასა და მის გმირ მებრძოლებს უნდა შეეხებოდეს. მათ უნდა გაამხნეონ და დარაზმონ მთელი საბჭოთა ხალხი მტერთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ქართველმა მწერლებმა უნდა მიბაძონ რუს და უკრაინელ მწერლებს, რომლებიც მოქმედ არმიაში მყოფნი ჰქმნიან საუკეთესო ნაწარმოებებს, იარაღითა და კალმით იბრძვიან წითელარმიელებთან ერთად. ჩვენ უნდა შევქმნათ კარგი ნაწარმოებები ზურგში მყოფ ადამიანებზე, ჩვენს ინტელიგენციაზე, კოლმეურნეებზე.

ორდენოსანმა პოეტმა გ. ლეონიძემ პლენუმს მოუთხრო იმ შთაბეჭდილებებზე, რაც მიიღეს ალ. მაშაშვილმა, ირ. აბაშიძემ და გ. ლეონიძემ რუსეთში ყოფნისას. მათ ნახეს გერმანელ ბარბაროსთა თარეშის ნაკვალევი, გაძარცული და დანგრეული, გაპარტახებული დაბა-სოფლები. მათ ნახეს მტრის განადგურებული ტანკები, ქვემეხები, დამსხვრეული თვითმფრინავები, ინახულეს ჩვენი უძლეველი არმიის გმირი ნაწილები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა მწერლებმა გ. მდივანმა, სოლ. თავაძემ, ვ. გორგაძემ, ბ. ჟღენტმა და ს. ჩიქოვანმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ქართველმა მწერლებმა დასწერეს მრავალი საყურადღებო ნაწარმოები სამამულო ომის თემაზე, გამოვიდა რამდენიმე კრებული, ჩატარდა მოხსენებები და მწერალთა გამოსვლები ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში, კოლმეურნეობებში, წითელი ჯარის ნაწილებში, მაგრამ მწერლები მაინც ჩამორჩებიან. ჩვენში ჯერ კიდევ არ ისმის ფრონტზე მყოფი ქართველი მწერლის ხმა. ამ მიმართულებით მეტი მუშაობაა საჭირო. ჩვენი ყოველდღიური პრესა, რადიოგადაცემები, საინფორმაციო ბიუროს ცნობები ძვირფას მასალას შეიცავენ, რაც უნდა გამოიყენოს თვითეულმა მწერალმა.

პლენუმის ყველა მონაწილე ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ საკმარისი არ არის იმ სახით მუშაობა, როგორიც დღემდე წარმოებდა. ქართველმა მწერლებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ გრანდიოზულ, გმირულ ბრძოლაში, რომელსაც ეწევა საბჭოთა ხალხი სამამულო ომის ფრონტებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. თავაძე.

## კომკავშირულ-ახალგაზრდული კვირაობის შედეგები

15 თებერვალს საბჭოთა საქართველოს საწარმოებში წარმატებით ჩატარდა მეოთხე საკავშირო კომკავშირულ - ახალგაზრდული კვირაობა, მიძღვნილი გმირი წითელი არმიის XXIV წლისთავისადმი. კვირაობაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდებმა, არამედ ძველმა გამოცდილმა მუშებმა, სტახანოველებმა, რომლებმაც თავდადებული შრომის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენეს.

კვირაობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებით ჩაიარა თბილისის ლენინის რაიონის საწარმოებში. აქ 3.500 კაცმა იმუშავა. ამ დღეს კვირაობის მონაწილეებმა დაახლოებითი ცნობით 32.000 მანეთი გამოიმუშავეს. 26 კომისრის სახელობის რაიონის საწარმოებში არასრული ცნობით 12.000 მანეთი გამოიმუშავეს.

კვირაობა ორგანიზებულად ჩატარდა ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძზე. მუშაობის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს კომკავშირელებმა ამხ. ვ. აფხაზაშვილმა, ფ. რცხილაძემ, დ. კაველაშვილმა. აქ კვირაობაში მონაწილეობა მიიღეს ტრანსპორტის ძველმა მუშაკებმაც. დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გზის ოსტატმა ამხ. ნ. ბარნაბიშვილმა, ივ. პლახტამ, პ. ჯორბენაძემ, ნ. აფხაზიშვილის ბრიგადამ. მუშაობის საუცხოო ნიმუშები მოგვცეს „ზაგოტზერნოს“ ახალგაზრდებმაც. თავდადებულად იმუშავეს აგრეთვე ხანში შესულმა მუშებმა ამხ. ლ. შაქრაშვილმა და ნ. ქაიხოსროშვილმა.

კვირაობაზე უკლებლივ გამოცხადდა თბილისის საორთქმავლო დეპოს მთელი კოლექტივი. როგორც ყოველთვის, ამ დღესაც შეუპოვრად იმუშავა კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი ზეინკალი ამხ. შ. ხიზანაშვილი ხელმძღვანელობს. დღიური გეგმები 250-300 პროცენტით შეასრულეს ბრიგადის წევრებმა. ცნობილმა ზეინკლებმა ამხ. კიკნაძემ, ჭავჭანიძემ, ჩქარეულმა და სხვ.

კვირაობა ორგანიზებულად ჩატარდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში. კომკავშირელმა მექვაბემ ამხ. კოპალეიშვილმა დღიური დავალება შეასრულა 300 პროცენტით, ახალგაზრდა ზეინკალმა ამხ. ოსტაპენკომ — 250 პროცენტით.

თავი გამოიჩინეს ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ მქსოველმა ქალებმაც. სატრიკოტაჟო საამქროს მქსოველი ქალი ამხ. ა. უხინა ჩვეულებრივ გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებდა, 15 თებერვალს კი მან დავალების 150 პროცენტი მოგვცა. გეგმა 130,9 პროცენტით შეასრულა ჩულქების მქსოველმა ამხ. მარო ნეფარიძემ, რომელიც წინათ დავალებას 120 პროცენტით ასრულებდა. ასევე წარმატებით იმუშავა მქსოველმა ამხ. სანოიანმა, რომელმაც დავალების 132.7 პროცენტი მოგვცა. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს ფაბრიკის მთელი კოლექტივი მუშაობდა.

კვირაობის მონაწილეებმა მთელი გამომუშავებული თანხა საქართველოს კომკავშირის სახელობის სატორპედო კატერებისა და სატანკო კოლონების მშენებლობის ფონდში შეიტანეს.

## ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულება

თელავის მტს-მა ვადაზე ექვსი დღით ადრე დაამთავრა ტრაქტორების რემონტი. სულ შეკეთებულია 38 ტრაქტორი.

ტრაქტორების რემონტი ვადაზე ოცი დღით ადრე დაამთავრეს ძამუკაშვილისა და მამალაშვილის სატრაქტორო ბრიგადებმა. ტრაქტორების შეკეთებაში თავი გამოიჩინეს უსოლ ვიგორბინმა, მიტო გარაყანიძემ, გიორგი სიხარულიძემ და ზაალ მაჭავარიანმა.

თელავის მტს-ის დირექტორი **სეხნიაშვილი**
პოლიტგანყოფილების უფროსი **ლუარსაბოვი**

---

**მ. ი. კალინინი**

# გამარჯვების გზით

თითქმის ორი თვეა, რაც წარმატებით ვითარდება წითელი არმიის შეტევა. ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთმა ნაწილმა წაიწია წინ არანაკლებ, ვიდრე ოთხასი კილომეტრით.

თავდაპირველად ჩვენი ჯარების წინსვლა მიმდინარეობდა თითქოს ოდრიკალივით მოსკოვის მიმართ — ვკვეთდით და ვსპობდით გერმანელთა ფლანგებს, და ამიტომ გერმანელებს თავიანთი უკანდახევა შეეძლოთ შეენიღბათ იმით, რომ ფრონტი მოსკოვს არც თუ ისეთი მნიშვნელოვანი მანძილით დაშორებიაო. მაგრამ ახლა ოდრიკალი გასწორებულია, და წითელი არმიის ყოველი წინწადგმული ნაბიჯი გვიჩვენებს, რომ ფრონტი პირდაპირი ხაზით მიიწევს დასავლეთისაკენ.

იქმნება ახალი ფლანგები, მოსკოვიდან უფრო დაშორებული გარემოცვები, მაგრამ ისინი უკვე წითელი არმიის გამარჯვებათა შედეგია, მისი სწრაფი წინსვლის შედეგია. ჰიტლერი ცდილობს გერმანელთა ჯარების უკანდახევა ახსნას ფრონტის ხაზის შემოკლების, ზამთრის პერიოდისათვის მისი სტაბილიზაციის წადილით. რა თქმა უნდა, მართალია, რომ გერმანელები ახლა ყოველნაირად ცდილობენ ფრონტის სტაბილიზაციას, მაგრამ მათი ეს წადილი კარგი ცხოვრების შედეგი როდია. ჩვენი სახელოვანი მეომრების შეტევამ მოუსპო გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს შეტევითი აღგზნება. წითელი არმიის დარტყმებმა აიძულეს გერმანელები იოცნებონ შესვენებაზე.

ჩვენი არმიის მიერ ასეთ მოკლე ვადაში ჩატარებული საბრძოლო მუშაობა უდიდესია. ჩვენი ნაწილების წინსვლის უკვე თვით სისწრაფე საუკეთესოდ ადასტურებს ჩვენს წარმატებებს და მოწმობს გერმანელთა არმიის უდიდეს ზარალს, რაც გერმანიის სარდლობას სრულიად არ გაუთვალისწინებია.

ჩვენი ჯარების გადასვლა შეტევაზე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია; იგი გამომდინარეობს ჩვენი ნაწილების ტაქტიკიდან, რომელსაც ისინი უკანდახევისას მიმართავდნენ. წითელი არმიის თავდაცვა აქტიურ ხასიათს ატარებდა. ჩვენი ჯარის შენაერთები ყველა თავის მოქმედებაში გამოდიოდნენ სარდლობის ძირითადი დებულებიდან — უკანასკნელ ზომამდე დაექანცათ მტრის ძალები, მიეყენებინათ მისთვის მაქსიმალური ზარალი. და ჩვენი არმია უკანდახევისას საუცხოოდ ასრულებდა ამ ამოცანას, ყოველ შემთხვევაში უფრო უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა წარსულ ომში ყოფილა.

ჩვენი ხელმძღვანელობა არ კმაყოფილდებოდა წმინდა სამხედრო ღონისძიებებით; მან პირველივე დღიდან გერმანელ ფაშისტებთან ომი სამამულო ომად გამოაცხადა. ამხანაგ სტალინის მოწოდება პარტიზანული ბრძოლისაკენ განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორია, რომლის დახმარებითაც მტერს დიდ ზარალს ვაყენებთ და მნიშვნელოვანი დემორალიზაცია შეგვაქვს მის რიგებში.

გერმანელები თავიანთ წარმატებებს ზომავდნენ დაპყრობილი ქალაქების რიცხვით, დაკავებული ტერიტორიების კილომეტრებით, ჩვენი სარდლობა კი—მტრის ზარალით და იმით, თუ რამდენად იყო მტერი მოქანცული. კიევის, ოდესის, გომელის, კალინინისა და სხვა ქალაქების დაცვა მტრისათვის ქანცის გასაწყვეტად წარმოებული ომის თვალსაჩინო მაგალითია. ამიტომ იყო, რომ ჰიტლერელმა ჯარისკაცებმა, რომლებმაც ძალიან მალე იგრძნეს წითელი არმიის წინააღმდეგობის ძალა, ჩვენი ნაწილების კონტრდარტყმების ძალა, დაიწყეს თავიანთ წერილებში ჩივილი ომის სიძნელეებზე. გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ეს იქნებოდა იოლი გასეირნება, რომ მათ შესაძლებლობა ექნებოდათ დაუსჯელათ ეძარცვათ მოსახლეობა და საბჭოთა ტერიტორიაზე ნაძარცვის გზავნით სული მოეთქმევინებინათ თავიანთი დამშეული ზურგისათვის, ნამდვილად კი წააწყდნენ წითელი არმიის მედგარ წინააღმდეგობას, დიდ სიძნელეებს და უდიდესი ზარალი მოსდიოდათ.

ჰიტლერმა, რომელიც არაფრად აგდებდა უდიდეს დანაკლისს, ყველაფერი მსხვერპლად შესწირა მოსკოვის დაპყრობის თავის უგუნურ განზრახვას. საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქის დაპყრობის აზრი მას საკუთარი ჩრდილივით ჰქონდა აკვიატებული, რისთვისაც ბევრი სიმწარე იწვნია და კიდევაც იწვნევს.

იმ დროს, როდესაც მთელ მსოფლიოში მოელოდნენ მოსკოვის დაცემას, ჩვენმა სარდლობამ მოამზადა და დაიწყო ჰიტლერელთა ურდოების განადგურება მოსკოვის მისადგომებზე. ოსტატური სარდლობისა და მებრძოლთა სიმტკიცის მეოხებით მოსკოვი წინააღმდეგობის გაწევისა და მტრის განადგურების საუკეთესო ადგილი გახდა. და ამხანაგმა სტალინმა იმ მომენტში, როდესაც გერმანიის არმიას თითქოს ყველაზე დიდი წარმატებები ჰქონდა მოსკოვის მისადგომებზე, 1941 წლის ექვს და შვიდ ნოემბერს მტკიცედ მოუწოდა ჩვენს არმიას, მთელს საბჭოთა ხალხს გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისაკენ.

მე ძალა არ შემწევს გადმოვცე მოელი ის გავლენა, რაც ამხანაგ სტალინის ამ სიტყვებმა ჩვენი მოსახლეობისა და არმიის მასებზე მოახდინა; შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ ჩვენი ძალები თითქოს გაორკეცდა. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენმა ადამიანებმა, რომლებსაც წარმოსახვის უნარი აქვთ, გამოხატონ მილიონობით საბჭოთა ადამიანების ეს განცდები ლიტერატურულ - მხატვრული ფორმით, როგორც ერთერთი უშესანიშნავესი მოვლენა სამამულო ომის ისტორიაში.

მოსკოვს დიამეტრით უჭირავს 50 კილომეტრზე მეტი, ხოლო უახლოესი მისადგომებიანად—არანაკლებ 100 კილომეტრისა; ფრონტი კი მოსკოვთან 200-ზე მეტ კილომეტრზე იყო გაჭიმული. მოსკოვი იყო თითქოს ზამბარა, რომლის უკუბიძგების ძალა ბუნებრივად უფრო მეტად დიდდებოდა, ვიდრე დაწოლის ძალა.

გერმანიის არმიას, რომელიც მოსკოვთან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა, აღარა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ გაეფართოებინა ფლანგები, ე. ი. მიემართა შემდგომი გარემოცვისათვის. ეს კი მუშტის დარტყმის ძალას ასუსტებდა. მაგრამ გარემოცვა შეუძლებელი აღმოჩნდა, გერმანელთა ჯარები შებოჭილი იყვნენ ჩვენი ჯარების დაწოლით ცენტრში, რამაც გამოიწვია გერმანელთა გაჭიმული ფლანგების დასუსტება, რითაც მყისვე ისარგებლა ჩვენმა სარდლობამ. გერმანელთა ორივე ფლანგი განადგურებულ იქნა, ხოლო შემდეგ წითელი არმიის შეტევის შედეგად ფაშისტთა ჯარებმა უკანდახევა იწყეს ფრონტის ცენტრალურ უბანზეც.

მოსკოვის მისადგომებზე წარმოებული ბრძოლები მეტად საგულისხმოა; ისინი ამხილებენ პარიზის — საუკეთესო ტანკსაწინააღმდეგო პოზიციის უსახელოდ ჩაბარებას. პეტენმა მტრის წინაშე წამოიჩოქა და ამაყად განაცხადა: „ჩვენ შევინარჩუნეთ ღირსებაო“. უცნაური წარმოდგენაა ნაციონალური ღირსების შენარჩუნებაზე—საკუთარი ქვეყნის მიცემა მტრისათვის წასაბილწავად და გასაძარცვად. უკეთესი არ იქნებოდა პირდაპირ თქმა, რომ მსხვილი მედუქნეების სახლები პარიზში პეტენებისათვის საფრანგეთის ნაციონალურ ღირსებასა და თავისუფლებაზე უფრო ძვირფასი აღმოჩნდა. საფრანგეთში გერმანიის აგენტების „ღირსების“ დაცვას საფრანგეთის არმიის სარდლობა უფრო დიდად აფასებდა, ვიდრე თავისი ქვეყნის წინაშე სამხედრო მოვალეობის დაცვას.

უკანდახევის დროს ჩვენი არმია გმირულად იბრძოდა და ყოველი მტკაველი ჩვენი ტერიტორია მტერს ძვირად უჯდებოდა. წითელი არმიის ძალღონის დაჭიმვას ფუჭად არ ჩაუვლია, მან პირობები შეუქმნა ჩვენს შეტევას. ინიციატივა ჩვენი ჯარების ხელში გადმოვიდა.

შეტევა მეთაურთა შემადგენლობისაგან მოითხოვს უდიდეს დახელოვნებას, იგი მეთაურებისა და მებრძოლებისაგან მოითხოვს სამხედრო სიმამაცეს, სიმტკიცეს, ამტანობას, ინიციატივასა და დამოუკიდებლობას. მტერი იბრძვის მის მიერ დაკავებული და მისი სისხლით უხვად მორწყული ყოველი მტკაველი ტერიტორიისათვის. არანაკლები სისხლით სთმობს იგი მას, იყენებს რა ყველა საშუალებასა და ხერხებს, რომ შეაჩეროს ჩვენი ნაწილების წინსვლა. ჩვენი მებრძოლები და მეთაურები იღებენ ომის სასტიკ, მაგრამ, ალბათ, ერთადერთ თავისებურ თვალსაჩინო გაკვეთილებს, შეტევის გაკვეთილებს, გერმანელთა ნაქები ნაწილების განადგურების გაკვეთილებს.

ქალაქებსა და რაიონებს ზედიზედ ვათავისუფლებთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უღლისაგან. მოახლოებულია ჟამი, როდესაც გერმანელების მიერ ოკუპირებული ყველა ჩვენი რესპუბლიკა კვლავ დაუბრუნდება მშობლიურ ოჯახს. ყოველდღე მატულობს უკრაინის იმ დასახლებული პუნქტების რაოდენობა, რომლებსაც სამშობლოს ვუბრუნებთ. შეტევაზე გადასული ჩვენი ნაწილები სულ უფროდაუფრო უახლოვდებიან ბელორუსიის, ლატვიის, ესტონეთის, ლიტვის საზღვრებს. ჩვენს ძმებს უკვე დიდი ხნის ტანჯვა აღარ დარჩენიათ როზენბერგების, კოხებისა და სხვა არამზადების უღელქვეშ.

რა სასტიკ წინააღმდეგობასაც არ უნდა გვიწევდეს მტერი, რანაირადაც არ უნდა ძაბავდეს იგი თავის ძალღონეს,—იგი ვერ შესძლებს ინიციატივის გამოგლეჯას წითელი არმიის ხელიდან, ჩვენი ჯარების დარტყმები უფროდაუფრო გამანადგურებელი იქნება.

მთელ ჩვენს ხალხს, მთელ ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანას ამოძრავებს ერთი სურვილი—რაც შეიძლება უფრო მეტად დაეხმაროს ფრონტს — უხვად მისცეს მას ტანკები, თვითმფრინავები, ზარბაზნები, ნაღმსატყორცნები, ტანსაცმელი, სურსათი, იმისათვის, რომ წითელ არმიას მტრის განადგურებაში დავეხმაროთ, ახლა ჩვენი ზურგის ორგანიზაციებისა და მათ შორის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა უნდა გაძლიერდეს ისე, როგორც წინათ არასოდეს არ ყოფილა.

ჩვენმა რკინიგზელებმა გიგანტური სამუშაო შეასრულეს. ათას კილომეტრობით მანძილზე მათ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაზიდეს დიდძალი მოწყობილობა, მასალები, მარცვლეული, გადაიყვანეს მილიონობით ადამიანები, რომლებიც ფაშისტ ბარბაროსებს გაურბოდნენ. ჩვენი ქვეყანა ამას არ დაივიწყებს და იგი დიდად აფასებს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს მათ მიერ შესრულებული მუშაობისათვის. სხვათა შორის, საბჭოთა რკინიგზელებმა შეარცხვინეს ზოგიერთი უცხოელი „სპეციალისტი“, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ, რომ ჩვენი ტრანსპორტი თავს ვერ გაართმევდა თავის ამოცანებს ომიანობის დროს.

ახლა რკინიგზელთა წინაშე მეორე, უფრო მადლიერი ამოცანა დგას. წითელი არმიის წინსვლასთან ერთად საჭიროა რკინიგზის ლიანდაგის, ხიდების აღდგენა, შემადგენლობათა წაყვანა რაც შეიძლება სწრაფად და ფრონტთან მათი რაც შეიძლება ახლოს მიყვანა. ეს სამუშაო ძნელია და იმდენად თვით შესრულებით კი არა, რამდენადაც მისი უმოკლეს დროში შესრულების საჭიროებით. რაც უფრო ნაკლები დრო დასჭირდება ლიანდაგის აღდგენას, რაც უფრო ახლოს იქნებიან რკინიგზელები ფრონტთან, მით უფრო მეტად შეეძლება წითელ არმიას მძლავრად დასცხოს მტერს.

განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობა დაუყოვნებლივ უნდა ჩაებას გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. უწინარეს ყოვლისა საჭიროა გზების გაწმენდა. თუ წითელი არმიის ნაწილები პირველ გზას იკვლევენ თავიანთი მოწინავე რაზმებით და წელამდე თოვლში მიდიან, მეთაურთა მოთხოვნა გზების გაუმჯობესების შესახებ კოლმეურნეთათვის კანონი უნდა იყოს. გამარჯვება თავისთავად როდი მოდის, იგი უნდა მოვიპოვოთ, და თუ კოლმეურნეებს უნდათ, რომ ფრონტი რაც შეიძლება სწრაფად დაშორდეს მათ მინდვრებს, — ხოლო ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ მათ ეს სურთ,— გზები წითელი არმიის უახლოეს ზურგში მუდამ საუცხოო მდგომარეობაში უნდა იყოს. ასეთივე უნდა იყოს კოლმეურნეთა და ქალაქების მოსახლეობის დამოკიდებულება მეთაურთა მოთხოვნისადმი სამხედრო ობიექტების ასაგებად ამათუიმ სამუშაოთა შესრულებისათვის ადამიანთა გამოყოფის შესახებ, ტრანსპორტის რემონტის შესახებ, სამხედრო ტვირთების გადასაზიდად ურმების მიცემის შესახებ.

კოლმეურნეებსა და მოქალაქეებს მუდამ ერთი აზრი უნდა უტრიალებდეთ: „რით შეგვიძლია დავეხმაროთ ფრონტს და როგორ შეიძლება ამის რაც შეიძლება სწრაფად და უკეთესად გაკეთება?“. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა უაღრესად დაძაბული მუშაობა ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლში, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. წითელი არმია ანადგურებს მტერს—მივცეთ მას მეტი იარაღი, საომარი მასალები, შევქმნათ საუკეთესო პირობები მისი ბრძოლისათვის! მით უფრო მალე იქნება მიღწეული გამარჯვება, მით უფრო ნაკლებ ადამიანთა სიცოცხლედ და ნაკლებ მატერიალურ სახსრებად დაგვიჯდება იგი.

ჩვენი არმია შეტევაზეა გადასული, მტერი უკვე ჩაყენებულია მძიმე მდგომარეობაში. მისი მდგომარეობა სავსებით გამოუვალი უნდა გავხადოთ. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს უნდა დავცხოთ ისე, რომ ერთი წუთითაც არ მოვათქმევინოთ სული, რათა სულ უფროდაუფრო მეტად უძლურდებოდნენ ისინი, სულ უფროდაუფრო სწრაფად მიექანებოდნენ უკან — თავიანთი სრული განადგურებისაკენ.

ეს ამოცანა ადვილი როდია, მაგრამ ბრძოლის ყველა სიძნელე, სიმძიმე და გაჭირვება არაფერია იმასთან შედარებით, რის განცდაც მოუხდებოდათ ჩვენს ადამიანებს, ფაშიზმის უღელქვეშ რომ მოხვედრილიყვნენ. ამ ამოცანის შესრულება ჩვენი არმიისაგან მოითხოვს ძალებს და შეტევითი ბრძოლის წარმოების უნარს, ძალები კი ჩვენს არმიას გააჩნია, ხოლო შეტევითი მოქმედების მიმდინარეობაში მებრძოლთა და მეთაურთა საბრძოლო გამოცდილება და გამოწრთობა უფროდაუფრო გაიზრდება.

ჩვენი ქვეყანა რწმენით, ხოლო ფაშიზმის მიერ ჩაგრული ხალხები იმედით ადევნებენ თვალს წითელი არმიის საბრძოლო მოქმედებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სახელოვანი მებრძოლები, მამაცი მეთაურები და პოლიტმუშაკები ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, შეინარჩუნებენ ინიციატივას ბრძოლაში და მოიპოვებენ სრულ გამარჯვებას ჰიტლერის გერმანიაზე.

(„კრასნაია ზვეზდა“, 5/II).

## საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის მიტინგი ლონდონში

**ლონდონი,** 15 თებერვალი (საკდესი). ლონდონში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც საბჭოთა კავშირისადმი სამედიცინო დახმარების გაერთიანებულმა კომიტეტმა მოაწყო. მიტინგს ესწრებოდნენ: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლოუ და ინდოეთის, ბელგიის, პოლონეთის, ჩინეთის, შეერთებული შტატების, ნორვეგიის, საბერძნეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, თავისუფალი საფრანგეთის, ლუქსემბურგის წარმომადგენლები, აგრეთვე ამხ. მაისკი და ბოგომოლოვი.

მიტინგის თავმჯდომარემ ლორდმა ლიტონმა განაცხადა, რომ მიტინგის მონაწილენი დიდად არიან დავალებულნი საბჭოთა კავშირისაგან და მადლობელნი არიან მისი. თუ ინგლისი საჰაერო თავდასხმებს არ განიცდის და შემოჭრის საფრთხე მეტად შორეულია, — სთქვა მან, — ეს საბჭოთა კავშირის მილიონიანი მასების ბრძოლით აიხსნება. საბჭოთა ხალხმა გვიჩვენა, რომ მას ძალუძს დაამსხვრიოს გერმანიის სამხედრო მანქანა.

პარლამენტის წევრმა ქალმა რატბონმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საჭიროა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის განმტკიცება. „საბჭოთა კავშირი,—სთქვა მან,—ჩვენი დიდი მოკავშირეა; უფრო მეტი, იგი მომავლის სიმბოლოა. მჭიდრო თანამშრომლობა აბსოლუტურად აუცილებელია არა მარტო ომის განმავლობაში, არამედ ომის შემდეგაც, რადგან ეს კაცობრიობის ხსნის ერთად-ერთი იმედია".

პარლამენტის წევრი, ლეიბორისტი ჰოიდენი თავის გამოსვლაში შეეხო საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკას, რომელიც სსრ კავშირის ყველა ხალხს აერთიანებს და რომელმაც მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო მიუვალ სიმაგრედ გადააქცია. მან მოიყვანა წითელარმიელის ფიცის სიტყვები, რომლებმაც მიტინგის მონაწილეთა უდიდესი ენტუზიაზმი გამოიწვიეს.

მოკლე სიტყვებით გამოვიდნენ მთელი რიგი საფაბრიკო მამასახლისები და მუშები. ლონდონის ერთი სამხედრო ქარხნის საფაბრიკო მამასახლისმა ნაიტმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მისი ქარხნის მუშები ხმარობენ წარმოების გასადიდებლად. მან სთქვა: გერმანელთა მიერ სსრ კავშირში ჩადენილმა მხეცობამ მე და ჩემი ამხანაგები ისე ღრმად აღგვაშფოთა, თითქოს თვითონ ჩვენ განგვეცადოს ეს მხეცობაო. ნაიტი შეეხო ინგლისში საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის ყოფნას და სთქვა: „მათ ჩვენ გვნახეს მუშაობის დროს, გვესაუბრნენ, და ჩვენ მივესალმეთ მათს წინადადებებს და კრიტიკულ შენიშვნებს და ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რათა ისინი გამოვიყენოთ".

შემდეგ გამოვიდნენ: საავიაციო ქარხნის საფაბრიკო მამასახლისების წარმომადგენელი ქალი, სავაჭრო ფლოტის მეზღვაურების, სახანძრო ბრიგადების კავშირის, რკინიგზელთა კავშირის წარმომადგენლები, რომლებიც საჰაერო თავდასხმების დროს მამაცობის გამოჩენისათვის წარჩინების ნიშნებით არიან დაჯილდოებულნი. ისინი ყველანი მხურვალედ მიესალმნენ თავის ამხანაგებს საბჭოთა კავშირში და თავისი აღტაცება გამოსთქვეს მათ მიმართ.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მისმა მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს იმუშაონ და იბრძოლონ საბოლოო გამარჯვებამდე.

## ჰიტლერული ტერორის მძვინვარება პოლონეთში

**სტამბოლი,** 14 თებერვალი (საკდესი). ევროპიდან ჩამოსული პირნი აღნიშნავენ ჰიტლერული ტერორის მძვინვარებას პოლონეთში. ავტორიტეტული წყაროების ცნობით, ამჟამად მარტო პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკებში სულ ცოტა 100.000 პატიმარი იმყოფება. ოსვიენციმის საკონცენტრაციო ბანაკს, რომელიც კრაკოვის რაიონში მდებარეობს, პოლონელები „სიკვდილის ფაბრიკას" უწოდებენ. იქ მოთავსებულია 11-დან 12 ათასამდე კაცი. გათენებიდან დაღამებამდე მათ მძიმე, მაგრამ უაზრო საქმეზე ამუშავებენ: დღეს მათ კედელს აშენებინებენ, მეორე დღეს კი ანგრევინებენ; დღეს ორმოებს გაათხრევინებენ, ხვალ კი მიწით ამოავსებინებენ. სამუშაო ადგილას პატიმრები, რა ასაკისა და ჯანმრთელობისაც უნდა იყვნენ, არა სიარულით, არამედ სირბილით უნდა მივიდნენ. ვისაც სირბილი არ შეუძლია, მათ განსაკუთრებული სახის სასჯელს აძლევენ—ჯოხსა სცემენ ქუსლებზე, შემდეგ კი იმდენს სცემენ, რომ ხშირად ცემით ჰკლავენ. ავადმყოფებად მხოლოდ მათ სთვლიან, ვისაც 39 გრადუსზე მეტი ტემპერატურა აქვს. რადგან ბარაკებს არ ათბობენ, პატიმართა შორის უამრავი ავადმყოფია. განსაკუთრებით დიდია ტუბერკულოზით ავადმყოფთა პროცენტი. ამ ბანაკში სიკვდილიანობამ ამ უკანასკნელ ხანს თითქმის 1.000 კაცს მიაღწია თვეში. მკვდრების გვამებს იქვე, ბანაკში წვავენ. ოსვიენციმის ბანაკიდან არავის არ ათავისუფლებენ. თუ ვინმე ამ ბანაკიდან გაქცევას მოახერხებს, პატიმართა მთელი ის ჯგუფი, რომელსაც გაქცეული ეკუთვნოდა, დასჯის წესით მთელი დღედაღამით ყინვაში გამოჰყავთ. ბანაკში პატიმართა შორის ბევრია ინტელიგენციის წარმომადგენელი. პოლონელები მწარე ირონიით ამბობენ: ამ ბანაკში მოსახვედრად საკმარისია ცნობილი მეცნიერი, ჟურნალისტი ან პოლიტიკური მოღვაწე იყოო. მარტო კრაკოვის უნივერსიტეტიდან საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებულია 170 პროფესორი, ასისტენტი და სხვა თანამშრომელი. ამ უნივერსიტეტის 19 პროფესორმა ტანჯვა-წამებას ვერ გაუძლო და დაიხოცა. ათასობით პოლონელი და ებრაელი ყოველდღიურად ხდება ჰიტლერული ტერორის მსხვერპლი.

ამას წინათ პოზნანის ერთ-ერთ ქალაქში 3 პოლონელი საჯაროდ ჩამოახრჩეს საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევისათვის. მათი გვამები მრავალი დღის განმავლობაში ეკიდა ჩალაქში. კუტნოში ამას წინათ ცენტრალურ მოედანზე 3 რკინიგზელი ჩამოახრჩეს „საბოტაჟისათვის". ქალაქ სკარჟისკოში „საბოტაჟისათვის" დახვრიტეს ადგილობრივი სამრეწველო ქარხნის 300 მუშა. იმ რაიონებში, სადაც განსაკუთრებით ფართოდ არის გაშლილი პარტიზანული მოძრაობა, სოფლების უმეტესობა მიწასთან გაასწორეს, ხოლო ამ სოფლების მრავალი მცხოვრები დახვრიტეს ან ჩამოახრჩეს იმისათვის, რომ ისინი დახმარებას უწევდნენ პარტიზანებს.

## ჰიტლერელები ხოცავენ დაჭრილ გერმანელებს

### შვეიცარიელი ექიმების ცნობა გერმანიის სამხედრო-სანიტარული სამსახურის დეზორგანიზაციისა და დაჭრილთა წამების შესახებ

**სტამბოლი,** 14 თებერვალი (საკდესი). როგორც აქ გამოირკვა, წითელი ჯვრის შვეიცარიის პირველმა სამედიცინო დელეგაციამ, რომელიც შემოდგომაზე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაემგზავრა 50 ექიმისა და სამედიცინო დის შემადგენლობით, იანვარში თავის მთავრობას დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც სთხოვდა ჩქარა გაეწვია ეს დელეგაცია ფრონტიდან, ვინაიდან მას აღარ შეეძლო იქ დარჩენა. დელეგაციის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და იგი ბერნს დაბრუნდა. უტყუარი სერიოზული წყაროებიდან მიღებული ცნობით, დელეგაციამ შეჯამებული მოხსენება წარუდგინა შვეიცარიის მთავრობას თავისი მგზავრობის შესახებ, მოხსენება შეიცავს 906 გვერდს. მოხსენებაში აწერილია გერმანიის სამხედრო სანიტარული სამსახურის დეზორგანიზაცია დაჭრილთა უდიდესი ნაკადის შედეგად. შვეიცარიელი ექიმები მთელ რიგ ჰოსპიტლებში მუშაობდნენ, როგორც ფრონტზე, ისე თვით გერმანიასა და პოლონეთში. მონტრეელი ექიმი როშერი სწერს: „მარტო დეკემბერში 300 დამზრალს მოვკვეთე ფეხები. ყინვამ შეუძლებელი გახადა სისხლის გადასხმა, რის გამო სიკვდილიანობამ კიდევ 20 პროცენტით იმატა დაჭრილთა შორის". ექიმი ედვარდ გრიმი თავის მოხსენებაში სწერს: „იმდენი დამზრალია, რომ მათთვის სპეციალური ჰოსპიტლების შექმნა მოგვიხდაო".

პროფესორი ანდრე ბალცერი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, თუ რა ბარბაროსულად უსწორდებიან ჰიტლერელები მძიმედ დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცებს. „ბრესტ-ლიტოვსკის გერმანული სამხედრო ჰოსპიტლის ერთ-ერთმა მოსამსახურემ მიამბო, რომ მისი უკანასკნელი მგზავრობის დროს სანიტარული მატარებლით, რომელიც სავსე იყო მძიმედ დაჭრილებით, მატარებელი ერთი გვირაბის წინ გაჩერდა. მატარებლის უფროსმა, რომელსაც სვასტიკა ჰქონდა გაკეთებული, თავი მოუყარა მატარებლის მთელ მომსახურე პერსონალს და წინადადება მისცა ყველა მათგანს აირწინაღი გაიკეთეთ და, სანამ მე არ გიბრძანებთ, არ მოიხსნათო. როდესაც ერთმა სანიტარმა ჰკითხა, დაჭრილებს რაღა ეუყოთო, მატარებლის უფროსმა უპასუხა: დასტოვეთ თავის კუპეში, თქვენ კი ვაგონის კორიდორში გადითო. ამის შემდეგ მატარებელი გვირაბში შევიდა, სადაც იგი ნახევარ საათს დარჩა. როცა, ბოლოსდაბოლოს, მატარებელი იქიდან გავიდა, ყველა დაჭრილი მკვდარი იყო. შემდეგ მათი ნეშტები ერთ ფერმაში გადაიტანეს, სადაც მუშა მსახურის ფორმიანმა პირებმა ისინი დაკრძალეს. ბრესტ-ლიტოვსკის სამხედრო ჰოსპიტლის მოსამსახურემ მაცნობა: ამ მგზავრობის შემდეგ შევიტყე, რომ ამრიგად ხშირად ექცევიან დაჭრილებს და რომ ამ მიზნით სპეციალური მატარებლები არსებობსო".

ყოველივე ნახულის გამო შვეიცარიელი ექიმები იძულებული გახდნენ თავისი მთავრობის წინაშე დაესვათ საკითხი, რათა ისინი რაც შეიძლება მალე გაეწვიათ გერმანიის სანიტარული სამსახურიდან.

## ჰიტლერელი ოკუპანტების ტერორი საფრანგეთსა და ბელგიაში

**ნიუ-იორკი,** 14 თებერვალი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთში მყოფი გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდლობამ გამოაცხადა, რომ ფრანგებს, რომლებიც ეურჩებიან გერმანელთა ბრძანებებს რეკვიზიციების შესახებ, დაედებათ სასტიკი სასჯელი, მათ შორის სიკვდილით დასჯაც.

**ლონდონი,** 14 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ფაშისტთა ტრიბუნალებმა ბელგიაში სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს კიდევ 14 ბელგიელს. 10 მათგანს ბრალდებოდა დახმარების გაწევა ინგლისისათვის. ისინი უკვე დახვრიტეს.

## მოსახლეობის ტანჯვა პაველიჩის სამფლობელოში

**სტამბოლი,** 15 თებერვალი (საკდესი). მარიონეტული „ხორვატიის სახელმწიფო" მწვავე სასურსათო სიძნელეებს განიცდის. პაველიჩის ბანდების დახმარებით გერმანელებმა საფუძვლიანად გასძარცვეს და შიმშილობამდე მიიყვანეს ეს ქვეყანა. პროდუქტების ხარისხი მეტისმეტად დაბალია. გაზეთი „ხორვატი ხალხი" ამას წინათ იუწყებოდა, რომ პური შეიცავს 50 პროცენტზე მეტ სხვადასხვა ნარევს, უმთავრესად სიმინდის ნარევს. გერმანულ გაზეთ „ტიურკიშე პოსტის" გადმოცემით, ამას წინათ ხორვატიის ვაჭრობის „სამინისტრომ" გააფრთხილა მოსახლეობა, რომ, სურსათის მწვავე ნაკლებობის გამო, მას არ შეუძლია უზრუნველჰყოს იმ პირთა მომარაგება, რომლებიც ზაგრების მკვიდრი მცხოვრებნი არ არიან. გაზეთის ცნობებით, 1941 წლის 10 აპრილიდან ზაგრებში იუგოსლავიის სხვა რაიონებიდან 80 ათასზე მეტი კაცი გადასახლდა. ამგვარად, მთელ ამ ხალხს შიმშილით სიკვდილი მოელის.

გაზეთი „დონაუ ცაიტუნგი" იუწყება, რომ ამას წინათ „ხორვატიის სამეფოში" პირუტყვის აღწერა ჩაატარეს. აღწერამ ცხადჰყო, რომ იმ პირუტყვის რაოდენობის მიხედვით, რომელიც ერთ გლეხურ მეურნეობაზე მოდის, ამჟამად ხორვატიას უკანასკნელი ადგილი უჭირავს ევროპაში.

## ომის სუსხი უნგრეთში

**სტამბოლი,** 14 თებერვალი (საკდესი). ომისა და იმ ძარცვის გავლენით, რასაც ჰიტლერელები ეწევიან, უნგრეთის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფულად უარესდება. უნგრული გაზეთი „პესტერ ლოიდი" მხოლოდ იანვრის პირველ კვირაში იუწყებოდა შემდეგ ღონისძიებებს მოსახლეობის მომარაგების შეზღუდვის დარგში: პურისა და ცხიმეულის გაცემის ნორმები შემცირებულია; ნედლეულის უქონლობის გამო საფეიქრო ფაბრიკების უმრავლესობა დაიხურა; ტყავის ფეხსაცმლის გამოშვება აკრძალულია; ფეხსაცმელს მხოლოდ სუროგატებისაგან ამზადებენ, ხისლანჩიანს; აკრძალულია მოსახლეობისათვის მედიკამენტების მიყიდვა და სხვ. უნგრეთის ოფიციალური ცნობებით, უნგრეთიდან გერმანიასა და იტალიაში საქონლის ექსპორტი უნგრეთის მთელი ექსპორტის 79 პროცენტს შეადგენს. მაგრამ გერმანიასა და იტალიას უნგრეთისათვის არც ფული გადაუხდიათ და არც საქონელი, რამაც ზარალი მიაყენა უნგრეთის მთელ მეურნეობას. უნგრეთისათვის კლირინგის საფუძველზე გერმანიის შემხვედრი მიწოდებანი გადადებულია იმ საბაბით, რომ „უნგრეთის შეკვეთების შესასრულებლად საჭიროა დიდი დრო".

## გერმანიის მოსახლეობის მძიმე სულიერი განწყობილება

**სტოკჰოლმი,** 14 თებერვალი (საკდესი). გერმანული გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" იძულებულია აღიაროს, რომ გერმანელი ხალხის სულიერი განწყობილება მკვეთრად შეიცვალა. „ახლა,—სწერს გაზეთი,—გერმანიაში ომზე გაცილებით მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე უკანასკნელი ორი წლის მანძილზე". გაზეთი წინდახედულად სდუმს იმის შესახებ, თუ, სახელდობრ, რას ლაპარაკობს გერმანიის მოსახლეობა ომზე, მაგრამ აღნიშნავს: „როცა ჩვენ ვიმარჯვებდით, მაშინ სალაპარაკო არაფერი იყო".

დასასრულ „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" სასოწარკვეთილებით აღნიშნავს, რომ გერმანიაში უკვე ყველამ შეიგნო, რომ ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო.

## საბჭოთა ფილმების წარმატება ინგლისში

**ლონდონი,** 15 თებერვალი (საკდესი). ამჟამად ლონდონში უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს — „მტრის ზურგში" და „50 გრადუსი ნოლს ქვევით" („მანერჰაიმის ხაზი") და „მუსიკალური ისტორია". ამ სურათებს მაღალი შეფასება მისცა პრესამ და მაყურებლებიც აღფრთოვანებით შეხვდნენ. საბჭოთა დოკუმენტალური ფილმები განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობენ ინგლისის არმიასა და საავიაციო ნაწილებში. კინოგამქირავებელი ერთ-ერთი უდიდესი ფირმის — „ანგლო-ამერიკენ ფილმ კორპორეიშენის" ხელმძღვანელმა ჯეკსონმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა: „საბჭოთა ფილმები მაყურებელთა ენტუზიაზმს იწვევენ. ყოველ სრულმეტრაჟიან ფილმს ინგლისის 1.100 ქალაქში უჩვენებენ და ეს ფილმები ყველგან პოპულარობით სარგებლობენ. ამჟამად რამდენიმე საბჭოთა ფილმი ინგლისურ ენაზე ითარგმნება და მალე იქნება გამოშვებული საჩვენებლად".

## „ჩიკაგო ტრიბიუნი" საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელთა ზარალის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 14 თებერვალი (საკდესი). როგორც გაზეთი „ჩიკაგო ტრიბიუნი" იუწყება, შვეციის სამხედრო მიმომხილველნი ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ მას შემდეგ, რაც ჰიტლერი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას შეუდგა, გერმანელთა ზარალმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე უდიდეს რაოდენობას მიაღწია. ჰიტლერმა,—სწერს გაზეთი,—თანამდებობიდან მოხსნა სამხედრო ხელმძღვანელნი, რომლებიც ურჩევდნენ ზურგში წაეყვანათ ჯარის დიდი ნაწილები იმისათვის, რომ მინიმუმამდე შეემცირებინათ ზარალი ზამთრის განმავლობაში. ჰიტლერი ცოცხალი ძალის შენარჩუნებას უგულებელჰყოფს.

## პა-დე-კალეს სრუტეში მომხდარი ბრძოლის გამო

**ლონდონი,** 14 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონის ავტორიტეტული წრეები იუწყებიან, რომ პა-დე-კალეს სრუტეში გერმანიის სახაზო გემების წინააღმდეგ ოპერაციებში მონაწილეობას იღებდა ინგლისელთა სულ ცოტა 600 თვითმფრინავი, მათ შორის 200-300 ბომბდამშენი და 300-ზე მეტი ავიაგამანადგურებელი. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა ითვალისწინებდა, რომ სახაზო გემებს შეეძლოთ გამოჩენილიყვნენ სრუტეში და ამის შესაბამისად იყო შედგენილი მოქმედების გეგმები. ეს გეგმები განხილული და შეთანხმებული იყო საზღვაო სამინისტროსთან.

ჰაერში დიდძალი მზვერავი და საპატრულო თვითმფრინავი იყო. მოქმედებისათვის მზად იყვნენ ტორპედოსანი თვითმფრინავები და დღის ბომბდამშენები. „სუორდფიშის" ტიპის არც ერთი თვითმფრინავი, რომლებიც პირველ რიგში გაიგზავნა, თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. დიდძალ თვითმფრინავთაგან, რომლებიც გერმანიის გემებზე თავდასასხმელად გაიგზავნა, ცუდი ხილვადობის გამო მიზანი მხოლოდ ცოტამ იპოვნა. გერმანელებს კარგი ინფორმაცია აქვთ ამინდის შესახებ და, ალბათ, გერმანიის დუბლინის მისიამ თავისი როლი შეასრულა ამ ინფორმაციით უზრუნველყოფაში.

სათანადო უწყებანი გამოიძიებენ საქმის მთელ ვითარებას და, თუ საჭირო იქნა, მათ ანგარიშს განიხილავს უმაღლესი ინსტანცია.

## ინდოეთს წარმომადგენელი ეყოლება ინგლისის სამხედრო კაბინეტში

**ლონდონი,** 14 თებერვალი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ ინგლისის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა, რათა ინდოეთს ისეთივე უფლებები მიენიჭოს სამხედრო კაბინეტსა და წყნარი ოკეანის სამხედრო საბჭოში წარმომადგენლობის მხრივ, როგორითაც დომინიონები სარგებლობენ.

ამის შესაბამისად, ინდოეთის მეფის მოადგილემ ინდოეთის მთავრობას წინადადება მისცა, თუ სურს, გამოჰყოს თავისი წარმომადგენელი.

## ინგლისის ავიაციის თავდასხმა კელნზე, აახენსა და ჰავრზე

**ლონდონი,** 14 თებერვალი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან 13 თებერვალს, ღამით, ინგლისის ავიაცია თავს დაესხა დასავლეთ გერმანიას, დაბომბვის ძირითადი ობიექტები იყო კელნი და აახენი. ინგლისის ავიაცია თავს დაესხა აგრეთვე ჰავრის დოკებს და მოწინააღმდეგის ერთ-ერთ აეროდრომს საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში. ამ ოპერაციების მონაწილე ინგლისელთა ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

## ჩეხოსლოვაკიელთა ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ

**ნიუ-იორკი,** 14 თებერვალი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი მასარიკი რუზველტს ესაუბრა. საუბრის შემდეგ მასარიკმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: რუზველტს ინფორმაცია მივაწოდე ანტიგერმანული საბოტაჟისა და მღელვარების თაობაზე, რაც ჩეხოსლოვაკიაში ხდებაო. მასარიკმა განაცხადა: ჩემ მიერ მიღებული ცნობებით, მუშების მიერ შრომის ნაყოფიერების განზრახ შემცირების შედეგად, შკოდის ქარხნების პროდუქცია 35 პროცენტით შემცირდა. მასარიკის განცხადებით, გერმანელებს ძალით გაუგზავნიათ გერმანიაში 300 ათასზე მეტი ჩეხი მუშა.

ამას წინათ კლივლენდში (ოგაიოს შტატი) გამოსვლისას მასარიკმა აღნიშნა, რომ, არსებული ცნობებით, ჩეხოსლოვაკიაში სულ ცოტა 200 ათასი კაცი რეგულარულად ტყობილობს ლონდონიდან ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ ტრანსლირებული რადიოგადაცემის შინაარსს.

## საფრანგეთზე დადებული ხარკის სიმძიმე

**ჟენევა,** 15 თებერვალი (საკდესი). ფრანგულ გაზეთ „ჟურნალს" მოჰყავს ვიშის მთავრობის ფინანსთა მინისტრის ბუტილიეს შემდეგი აღიარება: „რაც უფრო მეტად სუსტდება ჩვენი ეკონომიკა მით უფრო აუტანელი ხდება ის ხარკი, რომელიც გერმანიას უნდა გადავუხადოთ. გადასახდელი თანხა, დამატებითი ხარჯების ჩათვლით, ყოველწლიურად 115-120 მილიარდ ფრანკს უდრის. საფრანგეთის საბიუჯეტო შემოსავალი, მათ შორის ნაციონალური დახმარების ფონდში შემოტანილი თანხები და ადგილობრივი გადასახადები საერთოდ წელიწადში შეადგენს 110 მილიარდ ფრანკს, ე. ი. საოკუპაციო ხარჯებზე ნაკლებს".

## 45 ფრანგ მძევალს სიკვდილით დასჯა მოელის

**ნიუ-იორკი,** 15 თებერვალი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ საფრანგეთში გამოაცხადა, რომ რუანსა და ტურში მძევლებად წაყვანილი 45 ფრანგი სიკვდილით იქნება დასჯილი, თუ დღეს შუადღისათვის არ აღმოაჩენენ იმ პირებს, რომლებიც თავს დაესხნენ გერმანელ ჯარისკაცებს ამ ქალაქებში.

## გერმანიაში დაავადება მატულობს

**სტოკჰოლმი,** 14 თებერვალი (საკდესი). შვედური გაზეთი „არბეტეტი" აღნიშნავს, რომ თვით გერმანული ჟურნალების ცნობით, გერმანიაში ამ უკანასკნელ წლებში მეტად გაუარესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო დონე. 1941 წელს დიფტერიით დაავადებამ, 1931 წელთან შედარებით, იმატა 2,5-ჯერ, დიზენტერიით—5-ჯერ და ქუნთრუშით—8-ჯერ. ძალზე იმატა ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვმა. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ დაავადების ზრდის ძირითადი მიზეზია ორგანიზმის გამოფიტვა.

## ომი ლიბიაში

**ლონდონი,** 15 თებერვალი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის მორიგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 14 თებერვალს შემჩნეულია მტრის მოტორიზებული ტრანსპორტისა და მოტომექანიზებულ საშუალებათა მნიშვნელოვანი გადაჯგუფება ტმიმი-ელ-მეკილის ხაზიდან აღმოსავლეთისაკენ. მტრის კოლონები ძლიერ დაქსაქსული იყვნენ და მოხერხებულ მიზანს არ წარმოადგენდნენ ინგლისის არტილერიისათვის, მაგრამ ინგლისის პატრულები მათ მხედველობიდან არა ჰკარგავდნენ და მთელი დღის განმავლობაში ავიწროებდნენ.

გერმანიისა და იტალიის ავიაგამანადგურებლები ცდილობდნენ დაეფარათ ეს გადაჯგუფებები, რისთვისაც მცველავი ფრენით მიჰქონდათ იერიში ინგლისის ჯარებზე, რომლებსაც პოზიციები უჭირავთ ელ-გაზალთან და ამ პუნქტის სამხრეთით. მაგრამ ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა, რომლებიც მოულოდნელად დაესხნენ თავს, ფაქტიურად მოსპეს მტრის თვითმფრინავთა მთელი ჯგუფი, რომელიც 30 მოპიკირე ბომბდამშენისა და ავიაგამანადგურებლისაგან შესდგებოდა.

## ჩინეთის ახალი ნაწილების ჩასვლა ბირმაში

**ნიუ-იორკი,** 15 თებერვალი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ჩინეთ-ბირმის საზღვარზე იმყოფება, იუწყება, რომ ბირმაში ჩინეთის ჯარის ახალი ნაწილები ჩავიდნენ, ხოლო ზოგიერთი ნაწილი ჯერ კიდევ გზაშია. ისინი ყველანი კარგად არიან შეიარაღებული.

## ჩან კაი-ში პეშევარს ჩავიდა

**ლონდონი,** 15 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტო პეშევარიდან გადმოგვცემს, რომ დღეს ჩან კაი-ში პეშევარის აეროდრომზე ჩავიდა. იგი მიიღეს გუბერნატორმა და გარნიზონის უფროსმა. ნაშუადღევს ჩან კაი-შიმ ჰაიბერის გასასვლელი დაათვალიერა.

## ომი წყნარ ოკეანეში

### ამერიკის ცნობები

**ნიუ-იორკი,** 14 თებერვალი (საკდესი). ა. შ. შტატების საზღვაო სამინისტროს ცნობაში აღნიშნულია, რომ მარშლის კუნძულებისა და ჯილბერტის კუნძულების იაპონელთა ბაზების წინააღმდეგ ამერიკის ფლოტის 31 იანვრის ოპერაციების შედეგად იაპონელებმა დაჰკარგეს 16 გემი და 41 თვითმფრინავი. ამერიკის ფლოტმა სულ 11 თვითმფრინავი დაჰკარგა.

**ნიუ-იორკი,** 15 თებერვალი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ დღისითა და ღამით ბატაანის ნახევარკუნძულზე ინტენსიური საარტილერიო სროლა იყო და პატრულების შეტაკება ხდებოდა.

ამერიკის „მფრინავი ციხის" ტიპის 12 მძიმე ბომბდამშენმა იერიში მიიტანა იაპონიის გემებზე მაკასარის მახლობლად. შედეგები ზუსტად არ არის გამორკვეული, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ყოველ შემთხვევაში იაპონიის ერთ დიდ გემს. ამერიკის ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზებში.

### ინგლისის ცნობები

**ლონდონი,** 14 თებერვალი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, პაანის სექტორში ბრძოლა განახლდა და ამ ბრძოლას გააფთრებული ხასიათი აქვს. ფრონტზე მდგომარეობა გაურკვეველია. პაანის სამხრეთით დიდი ოპერაციები არ სწარმოებს.

**ლონდონი,** 15 თებერვალი (საკდესი). ინგლისის სინგაპურის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 13 თებერვალს იაპონიის დიდი ძალები განაგრძობდნენ იერიშების მოტანას პაია-ლებარის რაიონში (ქალაქიდან 6,5 კილომეტრზე) და კუნძულის დასავლეთ ნაწილში. ინგლისის, ავსტრალიის, ინდოეთისა და მალაიის ჯარები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ იაპონელებისათვის ქალაქისაკენ წინწაწევაში.

ინგლისის რანგუნის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ პაანის რაიონში სალვინის ფრონტზე გააფთრებული ბრძოლების შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

### ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობა

**ლონდონი,** 14 თებერვალი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იაპონელებმა იერიში მიიტანეს ქალაქ პალემბანგზე (სუმატრის კუნძული) და ქალაქის რაიონში საპარაშუტო დესანტი გადასხეს.

იაპონელთა ავიაცია საზვერავ ფრენას აწარმოებს ჰოლანდიის ინდოეთის ზოგიერთ რაიონში, რამდენიმე პუნქტი დაბომბეს.

**ლონდონი,** 15 თებერვალი (საკდესი). 14 თებერვალს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობამ გამოაცხადა, რომ იაპონელებმა იერიში მიიტანეს პალემბანგზე (სუმატრა). სადაც საპარაშუტო დესანტი გადასხეს. სამ სხვადასხვა პუნქტში გადასხეს რამდენიმე ასეული პარაშუტისტი, რომლებიც ხელის ტყვიამფრქვევებით, მსუბუქი ნაღმსატყორცნებითა და სხვა საჭურვლით არიან შეიარაღებული. დესანტის გადასხმის მიზანია ხელთ იგდონ ნავთსახდელი ქარხნები, მაგრამ დესანტის მოქმედება წარმატებით არ დაგვირგვინებულა. იმავე დღეს საღამოსათვის პარაშუტისტებისაგან სავსებით იყო გაწმენდილი 2 პუნქტი, რომლებსაც იაპონელები თავს დაესხნენ. მესამე პუნქტში ჰოლანდიელები აგრეთვე სრულ კონტროლს უწევენ მდგომარეობას. იაპონელთა ახალი დიდი დესანტის გადასხმის მოლოდინში ჰოლანდიელებმა პალემბანგის რაიონში ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობის დანგრევა დაიწყეს.

### იაპონიის ცნობები

**ტოკიო,** 14 თებერვალი (საკდესი). ოფიციალური ცნობების თანახმად, იაპონიის საზღვაო ძალები დღეს შევიდნენ სინგაპურის კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის სამხედრო-საზღვაო ბაზაში.

**ტოკიო,** 15 თებერვალი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, 15 თებერვალს ინგლისის სინგაპურის ჯარების მთავარსარდალი დასთანხმდა შესწყვიტოს საომარი მოქმედება კუნძულზე 22 საათსა და 00 წუთზე სინგაპურის დროით.

## იაპონია-ჩინეთის ომი

სამხრეთ ჩინეთში ბრძოლა გრძელდება ვეიჯოუ-ბოლოს უბანზე. ჩინელთა ჯარებმა ეს ორი პუნქტი დაიკავეს და კვლავ უკან ახევინებენ იაპონელებს დასავლეთისაკენ. იაპონელთა სარდლობას ფრონტის ამ უბანზე ახალი მაშველი ძალები გადაჰყავს და ცდილობს შეაჩეროს ჩინელთა შეტევა.

14 თებერვალი (საკდესი).

უკანასკნელ დღეებში ჩრდილოეთ ჩინეთში ბრძოლა სწარმოებდა შანდუნის პროვინციაში, ქალაქ იშუის რაიონში.

სუიუანის პროვინციაში ბრძოლა განახლდა ბაოტოუს სამხრეთით მდებარე რაიონში. ჩინეთის ჯარებმა შეაჩერეს იაპონიის ჯარების შეტევა ამ რაიონში.

15 თებერვალი (საკდესი).

## ჩერჩილის განცხადება სინგაპურის დაცემის შესახებ

**ლონდონი,** 15 თებერვალი (საკდესი). დღეს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სინგაპური დაეცა.

## ჰიტლერელები პოლონელ ბავშვებს სურსათს ართმევენ

**ნიუ-იორკი,** 14 თებერვალი (საკდესი). ოვერსის ნიუსის სააგენტო, რომელიც გერმანიის პრესის ცნობებს იმოწმებს, იუწყება, რომ ჰიტლერელებმა განკარგულება გასცეს, ამიერიდან პოლონელ ბავშვებს არ მიეცეს სასურსათო ბარათები, თუ ისინი არ მუშაობენ და რეგისტრირებული არ არიან შრომის ბირჟაში. დღემდე ასეთ რეგისტრაციაში უნდა გატარებულიყვნენ ახალგაზრდები, დაწყებული 16 წლის ჰასაკიდან.

## ჰიტლერი ნავთსა და სარეზერვო ხორცს მოითხოვს რუმინეთისაგან

**ჟენევა,** 14 თებერვალი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ 11 თებერვალს რუმინეთის პრემიერ-მინისტრი იონ ანტონესკუ გაწვეულ იქნა ჰიტლერთან ბანაკში.

როგორც აქ გამოირკვა, ჰიტლერთან ანტონესკუს „მიპატიჟება" გამოწვეული იყო იმით, რომ გერმანიის ელჩი რუმინეთში კილინგერი იტყობინებოდა რუმინეთის მთავრობას ეშინია მღელვარება არ მოხდეს და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე რუმინელი მაშველი ძალების გაგზავნას აყოვნებსო. ბანაკში საუბრის დროს ჰიტლერმა დაავალდებულა ანტონესკუ გაეგზავნოს ფრონტზე რუმინელთა სარეზერვო დივიზიები, რომლებიც შესდგებიან ამას წინათ გაწვეული და გაუწვრთნელი ხნიერი რეზერვისტებისაგან. თუ ბრძანებას არ შეასრულებს, ჰიტლერი ანტონესკუს დაემუქრა გადაყენებას და რუმინეთის შემდგომს დანაწილებას.

ჰიტლერის ბანაკში ანტონესკუს ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ რუმინეთში სისტემატურად მცირდება ნავთის ამოღება და გერმანიის არმიისათვის ნავთის მიწოდება. ანტონესკუს დაემუქრნენ რუმინეთის მთელ ნავთსარეწებს რუმინეთის მთავრობის განმგებლობიდან გამოვიყვანთ და ნავთის რაიონებს გერმანიის არმია დაიკავებსო.

## რუზველტმა ხელი მოაწერა ჩინეთისათვის სესხის მიცემის კანონპროექტს

**ვაშინგტონი,** 14 თებერვალი (საკდესი). რუზველტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს ჩინეთისათვის ფინანსიური დახმარების გასაწევად 500 მილიონი დოლარის ასიგნების შესახებ.

## ამერიკის მრეწველობა სამხედრო წარმოებაზე გადადის

**ვაშინგტონი,** 15 თებერვალი (საკდესი). სამხედრო წარმოების საქმეთა სამმართველომ გამოაცხადა, რომ მან წინადადება მისცა რადიოაპარატურის დამამზადებელი მრეწველობის ყველა მეწარმეს უახლოეს 4 თვეში გადაიყვანონ მთელი თავიანთი წარმოება სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე. სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს კონფისკაცია უყოს იმ საწარმოებს, რომლებიც სწრაფად არ გადავლენ სამხედრო მასალების წარმოებაზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის მთავრობამ განკარგულება გასცა, 1941 წელთან შედარებით, 40 პროცენტით შეამცირონ რადიოაპარატურის წარმოება სამოქალაქო მიზნებისათვის. სამმართველოს განცხადებაში ნათქვამია, რომ რადიოაპარატურის დამამზადებელ მრეწველობაში დაბანდებულია ათი-ათასობით მუშა. გასული წლის პირველი 9 თვის განმავლობაში ამ მრეწველობამ 10 მილიონამდე რადიომიმღები გამოუშვა. ფიქრობენ, რომ რადიოაპარატურის დამამზადებელი ქარხნები შესძლებენ გარდაჰქმნან თავიანთი მუშაობა უახლოესი სამი თვის განმავლობაში.

## ანტიჰიტლერული არალეგალური პრესა ოკუპირებულ ქვეყნებში

**ნიუ-იორკი,** 15 თებერვალი (საკდესი). ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი იუწყება, რომ ამჟამად გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში 300-ზე მეტი არალეგალური გაზეთი გამოდის. საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში 15 არალეგალური გაზეთი გამოდის. საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში არალეგალური გაზეთი „ლიბერასიონი" წინათ მინოგრაფზე დაბეჭდილ ფურცელს წარმოადგენდა. ახლა იგი რეგულარულად გამოდის ილუსტრაციებიანი ჟურნალის ფორმით. ჩეხოსლოვაკიის არალეგალური გაზეთი „ვბოეი" ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში რეგულარულად გამოდის კვირაში ერთხელ. ნორვეგიაში სულ ცოტა 20 არალეგალური გაზეთი გამოდის. ბელგიაში გამოდის 40 არალეგალური გაზეთი, რომელთა საერთო ტირაჟი 100 ათას ცალს უდრის; მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია გაზეთი „ლიბრ ბელჟიკ". პოლონეთში 150 არალეგალური გაზეთი გამოდის.

როგორც შვეიცარიის გაზეთი „ბაზლერ ნაციონალ ცაიტუნგი" იუწყება, არალეგალური გაზეთების ტირაჟი განუწყვეტლივ მატულობს.

## ჰიტლერელები საფრანგეთის ტუნისს ეპატრონებიან

**ნიუ-იორკი,** 15 თებერვალი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ვიშის მთავრობა დასთანხმდა დაუთმოს ღერძის ქვეყნებს ტუნისის ნავსადგურები, რომელთა მეშვეობითაც მოამარაგებენ იტალიისა და გერმანიის ჯარებს ლიბიაში.

## კომკავშირულ-პროფკავშირული კროსი

თბილისის კომკავშირული ორგანიზაციები წარმატებით ატარებენ წითელი არმიის 24 წლისთავის სახელობის კომკავშირულ-პროფკავშირულ კროსს. კვირას, 15 თებერვალს, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი გამოსვლა მოეწყო ლენინის სახელობის რაიონში. აქ ამ დღეს სტარტზე გამოცხადდა 2.941 კაცი, რომელთაგან ნორმები ჩააბარა 2.820 კაცმა. კარგად ჩატარდა კროსი აგრეთვე 26 კომისრის სახელობის რაიონში, სადაც მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა დისტანცია ვადაზე ადრე დაფარეს. მაგალითად, მანძილი ვადაზე 45 წუთით ადრე დაფარეს მე-17 სკოლის მოსწავლეებმა. ამ რაიონში კროსის მონაწილე ქალებიდან დისტანცია ვადაზე ადრე დაფარეს რკინიგზის მე-14 სკოლის მოსწავლე გოგონებმა.

ორჯონიკიძის სახელობის რაიონიდან 15 თებერვალს კროსში მონაწილეობა მიიღო 1.700 კაცმა. აქედან მათ I საფეხურის ნორმა ჩააბარა 1.000 კაცმა, ხოლო იმათ ნორმა —157 კაცმა.

ბერიას რაიონში სტარტზე გამოცხადდა 985 მონაწილე, რომელთაგან ნორმა ჩააბარა 914 კაცმა. მოლოტოვის რაიონში 810 კაციდან ნორმა ჩააბარა 629 კაცმა, კიროვის რაიონში 785 კაციდან—598 კაცმა.

9 თებერვლიდან 15 თებერვლამდე თბილისის ორგანიზაციებიდან კროსში მონაწილეობა მიიღო სულ 16.231 კაცმა. მათგან ნორმები ჩააბარა 14.825 კაცმა.

### საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონული კონფერენციები

18 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბის შენობაში (სასწავლო შესახვევი № 2/4) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიონის XVIII პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. პარტრაიკომის ანგარიში (ამხ. ვ. ლოლაძის მოხსენება),
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (ამხ. ჩიქობავას მოხსენება),
3. რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

* * *

19 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახ. რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახ. რაიონის XXIII პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. პარტრაიკომის ანგარიში (ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება),
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (ამხ. ფირუმოვის მოხსენება),
3. რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

### თეატრებში

**საოპერა** — 17 თებერვალს — „რიგოლეტო", 18 თებერვალს — „სამსონ და დალილა". **რუსთაველის სახელობის** — 17 თებერვალს — „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ". **მარჯანიშვილის სახელობის** —17 თებერვალს — „სოლომონ ისაკიჩ მეჯგანუაშვილი", 18 თებერვალს — „მარგარიტა გოტიე". **მუსიკალური კომედიის**—17 თებერვალს—„საქორწინო მოგზაურობა", 18 თებერვალს—„აყვავებული ბაღი". **ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული** — 17 თებერვალს — „ხოშბახტლიარ", 18 თებერვალს—„მაშტი იბად".

### დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ოქტომბერი** — „ამანგელდი", **დამკვრელი** — „სიმღერა სიყვარულზე", **კომკავშირელი** — „მშვენიერი ვასილისა", **ლუქსემბურგის სახ.** — „ჩემი სიყვარული", **კომინტერნი** — „მეორე ქალი და მწყემსი", **26 კომ. სახ.**—„მივდებული ბავშვი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**


თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების აბანო-სამრეცხაოების და საპარიკმახეროების მეურნეობის ტრესტის სამმართველო აცხადებს, რომ **მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით**

ა. წ. 17 თებერვლიდან

**ყველა აბანოში მუშაობა იწარმოებს დღე-ღამის განმავლობაში**

აბანო-სამრეცხაოების და საპარიკმახეროების მეურნეობის ტრესტის სამმართველო.

**დაკარგულია**

თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახლთმართველობა № 395 სამკუთხედი ბეჭედი. ჩ. გ. 129

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქარხნო კომიტეტი იუწყება ვ. კვეხაძის შვილის

**პატარა კუკურის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18/II 8 ს. გამოსვენება 19/II 6 ს. დოლიძის ქ. № 15. 137

თბილისის რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილება იუწყება ზოოტექნიკოს

**კოტე ავქსენტის-ძე მერცხულავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/II 6 ს. პანაშვიდი ყოველდღე 7½ ს. გამოსვენება ჯავახიშვილის ქ. № 11. 136

ბერიას სახელობის ა/კ. რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის სამტრედიის განყოფილების ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან ალ. ჩხეიძის მეუღლის

**ნუცა პავლეს-ასულ ჩხეიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 17/II 5½ ს. საგურამოს ქ. 10 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 134

თბილისის ვენერიული ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან მ. არსენიშვილის ძმის

**შურა არსენიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხაშურში 19/II. 133

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი იუწყება ალ. გომელაურის ბიძის დამსახურებული პედაგოგის

**ანდრო სოლომონის-ძე გომელაურის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 და 21 თებერვალს 7 ს. იორის შესახვევი № 6, გამოსვენება 22/II 2 ს. დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე (ავლაბარი). 135

თბილისის სასწავლო-საწარმოო კომბინატის სახელოსნო № 1 თანამშრომლები იუწყებიან ნ. ჩხეიძის რძლის

**ნუცა პავლეს-ასულ ჩხეიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 17/II 5½ ს. საგურამოს ქ. № 10, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 129

თბილისის მედინსტიტუტის I სამეანო გინეკოლოგიური კლინიკა იუწყება მედიცინის დოქტორის პროფესორ

**არდევან ვალერიანის-ძე ახვლედიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/II 7 ს. ქორესის ქ. № 35. 130

მე-7 საშუალო სკოლის დირექცია და პედპერსონალი იუწყებიან ნ. კურდღელაშვილის დის

**მარიამ მიხეილის-ასულ კოლიევის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/II 8 ს. დაკრძალვა 18/II 5½ ს. ბარნოვის ქ. № 44. 131

თბილისის კომუნალური ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყება გ. ჟორჟოლაძის მამის

**ვარდენ ტარიელის-ძე ჟორჟოლაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 17/II 5½ ს. ენგელსის ქ. № 34, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 132


ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28. უე 5810